აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№5 (25.029) ხუთშაბათი, 19 - 20 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 12-17, შიდამთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს. მთავრობის მეთაური, ფორუმის ფარგლებში, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საბორნე ოპერატორი კომპანიის - Stena Line-ის აღმასრულებელ დირექტორ ნიკლას მარტენსონს, Citigroup-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯეი კოლინზს, შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტ ალან ბერსეს, სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩს შეხვდა, ასევე, დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებლისა და აღმასრულებელი თავმჯდომარის, პროფესორ კლაუს შვაბისა და მისი მეუღლის ჰილდე შვაბის მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ მიღებას დაესწრო, რომელიც ფორუმის მონაწილე ლიდერებისა და წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელების პატივსაცემად გაიმართა.

* * *

ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი პარლამენტში შეხვედრებს განაგრძობს. „ვიმედოვნებ, რომ 12-ვე პრიორიტეტზე მნიშვნელოვანი პროგრესი მიიღწევა“, - განაცხადა ელჩმა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებთან შეხვედრების შემდეგ. დიპლომატმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით ევროპული კომისიის მოსაზრება დადებითი იქნება და ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილება, ამ წლის ბოლოს, საქართველოს ევროპული მისწრაფებების სასარგებლოდ იქნება მიღებული.

* * *

საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები ბროვარში ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპულების ოჯახებს, უკრაინელ ხალხსა და უკრაინის პრეზიდენტს სამძიმარს უცხადებენ. კიევის ოლქში ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის - უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი დენის მონასტირსკი, მისი პირველი მოადგილე ევგენი ენინი და სახელმწიფო მდივანი იური ლუბკოვიჩი. დაშავებულია 29 ადამიანი. დაღუპულთა და დაშავებულთა შორის არიან ბავშვები.

* * *

ნიკა მელიამ ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი მის წინააღმდეგ ბრძოლაში საჯაროდ ამხილა. ენმ-ის თავმჯდომარე ამბობს, რომ კულუარებიდან საარჩევნო კამპანიის დაგეგმვაში ეს ორი ადამიანი მონაწილეობს - შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრები. მისივე თქმით, ფარული ჩანაწერების უკან მერაბიშვილი დგას. „ეს არის ვანო მერაბიშვილის დაგეგმილი. მან ჩათვალა, რომ ამ აუდიოჩანაწერის გავრცელებას შეეძლო გავლენის მოხდენა არჩევნების შედეგებზე“, - განაცხადა მელიამ

მოამზადა
ია ფშველიძემ

ბათუმში, იუსტიციის სახლის მიმდებარედ უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა იგეგმება

ნაირა ფუტკარაძე 555 12 72 07

უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სამუშაოებს მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო ტენდერით შეისყიდის. მომსახურებისთვის კი, ქალაქის ბიუჯეტიდან, მაქსიმუმ 87 839 ლარია გათვალისწინებული

სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის ივნისამდე პერიოდში უნდა დასრულდეს.

იუსტიციის სახლის მიმდებარედ არსებულ ამ წრიულთან საფეხმავლო ხიდებიც უნდა აშენდეს, რომლებიც შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩას გადაკვეთს და გმირთა ხეივანს არდაგანის ტბასთან დააკავშირებს. ხიდებზე ადაპტირებული ლიფტების მონტაჟიც იგეგმება. ამ პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

რაც შეეხება ტენდერს, რომლის ფარგლებშიც ხელოვნური კუნძულები უნდა მოეწყოს, მერიის სამმართველოს 2 325 076 ლარით აქვს გამოცხადებული.

წინადადებების მიღება 2023 წლის 3 თებერვალს დაიწყება და 8 თებერვალს დასრულდება.

ამ ტენდერის ფარგლებში დაგეგმილია:

იუსტიციის სახლის მიმდებარედ უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა - მაქსიმუმ 87 839 ლარით; ბაღის ქუჩის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია - 510 044 ლარით; ასევე დაგეგმილია ბათუმში, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 1 727 193 ლარით (ტენდერის პირობის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით, 2023 წელს ანაზღაურდება არა უმეტეს 727 194 ლარი, ამასთან, მერიის სამმართველო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება 2023 წელს დამატებითი დაფინანსების შესახებ.

მოსახლეობისთვის მედიკამენტები უფრო ხელმისაწვდომი რომ გახდეს

ფარმაცევტულ კომპანიებს, განსაზღვრულ ფასზე ძვირად წამლის გაყიდვა 15 თებერვლიდან აღარ შეეძლებათ

რეფერენტული ფასი პირველ ეტაპზე 1300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე დაწესდა, ეტაპობრივად კი სხვა მედიკამენტებზეც განისაზღვრება.

მედიკამენტებზე განსაზღვრული რეფერენტული ფასი ორიგინალისა და მისი ანალოგი გენერიკებისთვის განსხვავებულია, რაც ბაზარზე საერთაშორისო ბრენდების ინტერესს დააზღვევს.

ზღვრული მაქსიმალური ფასები დაწესდა როგორც საბითუმო, ისე საცალო რეალიზაციისთვის.

ცვლილების მიზანია, მოსახლეობისთვის მედიკამენტები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.

მედიკამენტების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე:

https://referenceprice.moh.gov.ge/ui/#/main

აჭარის მთავრობის
პრესსამსახური

რა დივიდენდები მიიღო ამ ომში რუსეთმა, დასავლეთმა და უკრაინამ?

3

კოოპერაცია გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს

4

სად ვუშვებთ შეცდომებს უფროსები «გარდატეხის ასაკში» მყოფ მოზარდებთან ურთიერთობისას?

5

«სკოლების ოპტიმიზაციისა და კადრების შემცირების პროცესი შევაჩერეთ»

6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სატრანსპორტო კოლაფსებისა და საცობების თავიდან ასაცილებლად

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძის ინიციატივით, ბათუმში „აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური გეგმისა და ინსტიტუციონალური მოდელის“ პრეზენტაცია-განხილვა გაიმართა

„საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჩვენი ეკონომიკისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომლის განვითარებაც დღეს არსებული გამოწვევების ფონზე, გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ის რეგულაციები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო სისტემის დარეგულირებას და მის ერთიან სისტემად ჩამოყალიბებას, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის,“ - აღნიშნა ტიტე არაშიძემ პრეზენტაციის გახსნისას.

ორ სესიად მიმდინარე ღონისძიებაზე აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური სქემა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინსტიტუციური მოდელი ტრანსპორტის მგეგმარებელმა, კომპანია შთშ-ის ტექნიკურმა დირექტორმა ზურაბ ბერაძემ და ამავე კომპანიის სამართლებრივმა ექსპერტმა ეკა შანიძემ წარმოადგინეს. როგორც აღინიშნა, შემუშავებული დოკუმენტები მომრავლებული სატრანსპორტო საშუალებების ფონზე სატრანსპორტო კოლაფსებისა და საცობების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. სატრანსპორტო პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, გაიმართა კითხვა-პასუხის სესია და დისკუსია სამომავლო ნაბიჯებზე.

პრეზენტაციას, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები მარინე გვიანიძე, ლადო მგალობლიშვილი, აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვეიძე, კომიტეტების, საქართველოს პარლამენტის, აჭარის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საქართველოში ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ლაშა ნაკაშიძემ შეაჯამა. შეხვედრაზე წარმოდგენილი გენერალური გეგმისა და ინსტიტუციონალური მოდელის სამუშაო ვერსიები ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით გადაიხედება და განახლდება.

„ჩვენს ქვეყანას ექნება ხელშესახები შედეგები“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ესაუბრება საერთაშორისო მსხვილ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალით და დარწმუნებული ვარ, რომ ამ კომუნიკაციით და ამ შეხვედრებით ჩვენს ქვეყანას ექნება კონკრეტული ხელშესახები შედეგები, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა დავოსში, სადაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს.

„დავოსში გრძელდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, რომელსაც ესწრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი დელეგაციასთან ერთად. აღნიშნულ პლატფორმას აქვს ორი უმნიშვნელოვანესი დატვირთვა - ერთი მხრივ, ეს არის პოლიტიკური შეხვედრები, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი მართავს კოლეგა ლიდერებთან და ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ორმხრივი ურთიერთობები ჩვენს პარტნიორებთან. მეორე მხრივ, ეს არის ეკონომიკური განზომილება, სადაც სხვადასხვა მსხვილი საერთაშორისო ბიზნესკომპანიები, რომლებიც წარმოდგენილები არიან დავოსში, ეძებენ იმ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, სადაც შეიძლება ინვესტიციების ჩადება და სწორედ ამ მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი მართავს საკმაოდ საინტერესო შეხვედრებს კომპანიების ხელმძღვანელებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალით და დღეს არსებული შესაძლებლობების ფონზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა სთავაზობს საერთაშორისო პარტნიორებს. ვფიქრობ, ძალიან კარგი დროა იმისთვის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ესაუბრება საერთაშორისო მსხვილ კომპანიებს და დარწმუნებული ვარ, რომ ამ კომუნიკაციით და ამ შეხვედრებით ჩვენს ქვეყანას ექნება კონკრეტული ხელშესახები შედეგები“, - განაცხადა ილია დარჩიაშვილმა.

ილია დარჩიაშვილის განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ამირან გურიელიძე

საჩუქარი – შშმ პირის ოჯახს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარდულის მკვიდრები ციცინო ყიფიანი და რევაზ ქარცივაძე სამი ვაჟის მშობლები არიან

კახა უკვე დაოჯახებულია, საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს ბექა, რომელმაც უკვე მეოთხედი საუკუნე მიითვალა. მესამე შვილი ოჯახს 22 წლის წინ შეემატა. იგი სარეცელსაა მიჯაჭვული. მშობლების, ექიმების ჩარევით, ჯაბას მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, თუმცა დამოუკიდებლად გადაადგილება ისევ უჭირს.

- ჯაბას გაჩენამდე გომარდულის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგედ ვმუშაობდი. შვილის ტრაგიკულმა ბედმა სამუშაოს ჩამომაცილა, ერთი დღითაც კი არ გავსულვარ ოჯახიდან და ჯაბა ბედის ანაბარად არ მიმიტოვებია. კეთილი ადამიანების, ქვეყნის, რეგიონის ხელისუფალისა და დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, მას პერსონალური ასისტენტი და შინ მოვლის სპეციალისტი დაუნიშნეს. თემურ ჭაღალიძე და მაყვალა მახარაძე მას მზრუნველობას უწევენ, რამაც ტვირთი მნიშვნელოვნად შემიმსუბუქა, - გვითხრა ციცინომ.

შშმ პირის მზრუნველობა, სოფლის მძიმე ცხოვრება, მრავალწევრიანი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. მწირი შემოსავალი, გაუქმებული სოციალური დახმარება, სხვა პრობლემები აღარ აძლევთ შესაძლებლობას, რომ საოჯახო ტექნიკა, თუნდაც ტელევიზორი შეიძინონ.

შარშან, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის როსტომ ლორთქიფანიძისა და საკრებულოს უმრავლესობის ინიციატივით, სახელფასო დანაზოგებიდან ფონდი შეიქმნა, რომელიც უმწეო, ხელმოკლე ოჯახებს ყოველთვიურად სასურსათო პროდუქტებით ეხმარებოდა.

ფონდი მოქმედებას წელსაც აგრძელებს, სასურსათო პროდუქტებს საოჯახო ტექნიკაც მიუმატეს.

მორიგი საქველმოქმედო აქცია როსტომ ლორთქიფანიძემ მოადგილე გიორგი კეკელიძესა და საკრებულოს წევრ მურად ქათამაძესთან ერთად, სოფელ გომარდულში გამართა. ახალი წელი მიულოცეს რევაზ ქარცივაძის ოჯახს, საოჯახო ტექნიკა (ტელევიზორი), საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები საჩუქრად გადასცეს.

- ჯაბას გული გაუხარეს, - გვითხრა რევაზ ჭაღალიძემ, - ერთ წელზე მეტი ტელევიზორის გარეშე ვიყავით, ოჯახის ბიუჯეტით ვერ შევძელით მისი შეძენა. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ხელოვნური საშვილოსნო – ეს შესაძლებელია?

ინტერნეტსივრცეში კომპიუტერული მოდელირებით შექმნილი ვიდეო ვირუსულად გავრცელდა, რომელშიც ნაჩვენებია, როგორი შეიძლება იყოს ხელოვნური საშვილოსნო ე.წ. EctoLife და ის დაწესებულება, სადაც ემბრიონი ამგვარ ხელოვნურ საშვილოსნოებში გაიზრდება

ამ ვიდეოში ვხედავთ EctoLife-ად წოდებულ მოწყობილობას, რომელსაც ყოველწლიურად 30000 ბავშვის წარმოება შეეძლება. ხელოვნური საშვილოსნოს დახმარებით წყვილები ბავშვების ყოლას ორსულობისა და მშობიარობის გარეშე შეძლებენ. ბიოტექნოლოგები ამბობენ იმასაც, რომ 10 ან მაქსიმუმ, 15 წლის შემდეგ ხელოვნური საშვილოსნოები შვილების გაჩენის მთავარ გზად იქცევა.

კადრებმა საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

როგორც ვიდეოს შემქმნელი და ბიოტექნოლოგი ჰაშემ ალ გაილი ამბობს, ხელოვნური საშვილოსნო ჩვილთა ინკუბატორების გაუმჯობესებული ვერსია იქნება.

„ის ამოვსებული იქნება სითხით, რომელსაც ექნება ისეთივე მჟავატუტოვანი, ნუტრიენული და ტემპერატურული გარემო, როგორც ბუნებრივ გარემოში, დედის საშვილოსნოში არსებულ ამნიონურ სითხეს აქვს. ხელოვნური საშვილოსნო აღჭურვილი იქნება ჟანგბადით, საკვებითა და ყველა საჭირო ნივთიერებით, რომელიც ემბრიონის განვითარებისთვისაა საჭირო.

იმისთვის, რომ ემბრიონის გაზრდა ხელოვნურ საშვილოსნოში მოხდეს, პირველ რიგში, ინ-ვიტრო განაყოფიერებაა საჭირო.

ინ-ვიტრო განაყოფიერების დროს სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შერწყმის პროცესი ორგანიზმის გარეთ, მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიაში, მიმდინარეობს.

მეორე ეტაპი უკვე ემბრიონის ხელოვნურ საშვილოსნოში მოთავსებაა.

ხელოვნური საშვილოსნოს თავზე განთავსებულია მოლეკულები, რომლებიც ემბრიონს თავისკენ მაგნიტივით იზიდავს. ამ მიზიდულობის წყალობით ნაყოფი ბუნებრივად თავსდება ხელოვნურ საშვილოსნოში, სადაც ემბრიონი მომავალი 9 თვის განმავლობაში ზრდას განაგრძობს, ანუ, ამ შემთხვევაში ემბრიონის განთავსება ხდება არა სხვა ქალის საშვილოსნოში, როგორც ეს ინ-ვიტრო განაყოფიერების დროს ხდება, არამედ ხელოვნურ საშვილოსნოში“,- ამბობს ჰაშემი.

როგორც იცით, ინ-ვიტრო განაყოფიერების შემთხვევაში სუროგატი დედის პოვნა არც ისე მარტივია. უშვილო წყვილებს წლების განმავლობაში რიგში დგომა და უამრავი განცხადების შევსება უწევთ, ხელოვნური საშვილოსნოს შემთხვევაში კი ისინი შვილის ყოლას ნებისმიერ დროს შეძლებენ.

ბიოტექნოლოგები ამბობენ, რომ ხელოვნური საშვილოსნოს თავზე მოთავსებული იქნება კამერა, რომლის საშუალებითაც ემბრიონის ზრდის ყველა ეტაპის მონიტორინგი იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, მშობლებს შეეძლებათ 24 საათის განმავლობაში თვალი ადევნონ ნაყოფის განვითარების პროცესს და ასევე, მოინახულონ ის რამდენჯერაც ამისი სურვილი ექნებათ. მშობლები შეძლებენ აკონტროლონ ემბრიონის გულისცემა, ტემპერატურა, ჟანგბადის სატურაცია, სუნთქვის სიხშირე.

ამ ყველაფრის კონტროლს მშობლები სპეციალური აპლიკაციის საშუალებით შეძლებენ, რომელიც პირდაპირ იქნება დაკავშირებული ხელოვნურ საშვილოსნოსთან. ხელოვნურ საშვილოსნოზე დამაგრებული ყურსასმენების წყალობით, წყვილებს საშუალება ექნებათ ესაუბრონ ბავშვს, მოასმენინონ მუსიკა.

მარი მიდასელი

რა დივიდენდები მიიღო ამ ომში რუსეთმა, დასავლეთმა და უკრაინამ?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



მსოფლიო ისტორიას არაერთი დამანგრეველი, მასშტაბური, ხანგრძლივი ომი ახსოვს, რომლის შემდეგ ზოგი იმპერია არსებობას წყვეტდა, ზოგი ფართოვდებოდა

მე-20 საუკუნე ამ მხრივ გამორჩეული იყო: პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა ცარისტულ რუსეთს და ნაცისტურ გერმანიას მოუღო ბოლო, ხოლო ცივმა ომმა საბჭოთა კავშირის დაშლა განაპირობა, რის შედეგადაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. სამწუხაროდ, რუსეთი ამ რეალობას არ შეეგუა და საქართველოს, მოლდოვის და ახლა უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციას მიჰყო ხელი, რაც დასავლეთის რუსეთისადმი მაამებლური და არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია.

რუსეთის ინტერვენციამ უკრაინაში მსოფლიო თანამეგობრობა გამოაფხიზლა. პრაქტიკულად, მოსკოვმა ევრაზიის კონტინენტზე ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო, მიზანი - უკრაინის მსოფლიო პოლიტიკის რადარებიდან გაქრობა. თითქმის ერთი წელია, ვუყურებთ უსასტიკეს ომს, სიკვდილს, სისხლისღვრას, ცრემლებს უკრაინაში. ათიათასობით დახოცილი, ასიათასობით დაჭრილი და მილიონობით ლტოლვილი იმას ცხადყოფს, რომ რუსეთი არ იცვლება, კვლავ საშიში და ბოროტი ძალაა, ომის თერთმეტი თვის განმავლობაში ეს მკვეთრად წარმოჩნდა. ფაქტები მეტყველებს, რომ ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც ომის დაწყებამდე იყო. რუსეთის შეჭრამ უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოში დასავლური, ცივილიზებული საზოგადოება ისე გააერთიანა, მსგავსი სოლიდარობა 2008 და 2014 წლებში რომ დაენახა რუსეთს, დღეს, სავარაუდოდ, სხვა რეალობაში იქნებოდა მსოფლიო, უფრო მეტიც, შესაძლოა, ომი თავიდან აგვეცილებინა კიდეც. ვხედავთ, როგორი თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა უკრაინას, როგორ ამარაგებენ იარაღით, როგორ ეხმარებიან ფინანსურად, დიდია პოლიტიკური მხარდაჭერაც. დასავლეთის მკაფიო დახმარება რომ არა, უკრაინელებს გაუძნელდებოდათ მტრის შეჩერება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთი არც უკრაინის მხრიდან არ ელოდა ასეთ მამაცურ წინააღმდეგობას და არც ასეთ საყოველთაო თანადგომას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისგან, რომელებმაც უარი თქვეს ეკონომიკური სიკეთეების მიღებაზე და უმკაცრესი სანქციები დაუწესეს რუსეთს. როგორც ჩანს, კრემლს იმედი ჰქონდა, რომ უკრაინელები დანებდებოდნენ, საზოგადოება გაიხლიჩებოდა, აირეოდა. რუსებს ჰქონდათ 2014 წლის მაგალითი, როდესაც უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების ნაწილი რუსეთის მხარეს გადავიდა, სწორედ ამიტომ ვერ შეძლეს მაშინ უკრაინელებმა ყირიმის დაცვა. როგორც ჩანს, კრემლი ახლაც ელოდა რუსულენოვანი მოსახლეობის მხარდაჭერას აღმოსავლეთ უკრაინაში. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის შემდეგ კიევმა სწორი დასკვნა გამოიტანა, გააანალიზა სიტუაცია და თითქმის 7 წლის განმავლობაში გაატარა რეფორმები ძალოვან უწყებებში, მოქალაქეებში სახელმწიფოებრივი თვითშეგნება აამაღლა. უკრაინის თითოეული მოქალაქე, ეროვნების მიუხედავად, იბრძვის სამშობლოს გოჯი მიწისთვის.

ბლიცკრიგი რუსეთს არ გამოუვიდა, რაშიც, უკრაინელების თავდადებასთან ერთად, იმანაც დიდი როლი ითამაშა, რომ დასავლეთმა უზუსტესი ინფორმაციები მიაწოდა უკრაინას კრემლის გეგმებთან დაკავშირებით, რაც ომში უპირატესობის მოპოვების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

> ***„აშშ და ნატო უშუალო სამხედრო ჩარევის გარეშე უმკლავდება რუსეთს, ნატო უფრო მიუახლოვდა რუსეთის საზღვრებს, აშშ-მა ზესახელმწიფოს სტატუსი შეინარჩუნა და განიმტკიცა, ჩინეთმა შუა აზიაში რუსეთის ჰეგემონობას ბოლო მოუღო, სამხრეთ კავკასიაში შესუსტდა კრემლის პოზიციები, მაგალითად, სომხეთმა უარი განაცხადა რუსეთთან ერთობლივ სამხედრო წვრთნებზე***

რუსეთი, როგორც ცნობილია, სამ დღეში გეგმავდა კიევის აღებას, ერთ კვირაში კი მთლიანად უკრაინის დამორჩილებას აპირებდა, მაგრამ წადილი ერთია, რეალობა კი სხვა. თავის დროზე გერმანიის მიერ კიევის აღებას და შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ მის გათავისუფლებას ასიათასობით ჯარისკაცის სიცოცხლე დასჭირდა, გაუგებარი იყო რუსეთის არმიის მხრიდან ბლიცკრიგით კიევის აღების მცდელობა. როგორც ჩანს, პუტინი მაამებელთა გარემოცვაშია და ილუზიებით იკვებება. მას არ აწვდიან სწორ ინფორმაციას უკრაინაში შექმნილ მდგომარეობაზე, რუსეთი შეცდა არა მხოლოდ უკრაინელების ბრძოლისუნარიანობის შეფასებაში, არამედ სტრატეგიულ პოლიტიკურ გათვლებშიც, რადგან ჩათვალა, რომ დასავლეთი ისევ მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთების რიტორიკას დასჯერდებოდა, როგორც ეს საქართველოში რუსული სამხედრო აგრესიის დროს გააკეთა. ამჯერად, დასავლეთმა (მეტწილად დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა) ბევრად მეტი სიმამაცე გამოიჩინა და უთანასწორო ომში მყოფ უკრაინას პოლიტიკური, ფინანსური და, რაც მთავარია, სამხედრო დახმარება შესთავაზა... ამ მხრივ დასავლეთი პრაგმატულად მოქმედებდა: თავდაპირველად ათასობით ტანკსაწინააღმდეგო „ჯაველინი“ და საზენიტო „სტინგერი“ მიაწოდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსული ჯავშანტექნიკისა და შვეულმფრენების მოსაგერიებლად, მაგრამ როდესაც ბრძოლა უფრო პოზიციური გახდა და საქმეში შორსმსროლელი მსხვილკალიბრიანი არტილერია ჩაერთო, მაშინ დასავლეთის სამხედრო დახმარებაც მნიშვნელოვნად გაფართოდა - „ჰაიმერსებმა“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ხარკოვის ოლქისა და ხერსონის გათავისუფლებაში. ექსპერტთა თქმით, უკრაინის არმიას კონტრშეტევის გასაგრძელებლად აუცილებლად სჭირდება უფრო შორსმსროლელი და მეტი სიმძლავრის სამხედრო ტექნიკა, რათა დანარჩენი ოკუპირებული ტერიტორიები გაათავისუფლოს.

ცხადია, ყველა ომი გარკვეული დროის შემდეგ მოლაპარაკებით სრულდება. რაც უნდა უცნაური იყოს, მოლაპარაკებებს მოსკოვი ითხოვს, საფრანგეთის და ინდოეთის ლიდერებიც რატომღაც კიევს მოუწოდებენ ომის შეწყვეტისკენ, რაზეც უკრაინა არ თანხმდება. პრეზიდენტმა ზელენსკიმ ამას წინათ ხაზგასმით განაცხადა, რომ ვიდრე არ მოხდება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, მანამდე რუსეთთან მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებს.

„ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ 2023 წელი გამარჯვების წლად ვაქციოთ“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. ამ მხრივ კიევმა ვაშინგტონისგან მიიღო მხარდაჭერა. ახლა ექსპერტები კითხულობენ, რა დივიდენდები მიიღო ამ ომის მსვლელობისას რუსეთმა, დასავლეთმა და უკრაინამ? უდავოა, რომ რუსეთის უძლეველობისა და მსოფლიოში მეორე არმიის მითი სრულიად დაიმსხვრა. ნატო ფართოვდება - ფინეთი და შვედეთი ამ ორგანიზაციის ახალი წევრები გახდებიან, ევროკავშირმა რუსულ გაზზე უარი თქვა და გათხევადებულ გაზზე მოახდინა ფოკუსირება, რუსეთი პრაქტიკულად, იზოლაციაში მოექცა, აშშ და ნატო უშუალო სამხედრო ჩარევის გარეშე უმკლავდება რუსეთს, ნატო უფრო მიუახლოვდა რუსეთის საზღვრებს, აშშ-მა ზესახელმწიფოს სტატუსი შეინარჩუნა და განიმტკიცა, ჩინეთმა შუა აზიაში რუსეთის ჰეგემონობას ბოლო მოუღო, სამხრეთ კავკასიაში შესუსტდა კრემლის პოზიციები, მაგალითად, სომხეთმა უარი განაცხადა რუსეთთან ერთობლივ სამხედრო წვრთნებზე. რაც შეეხება უკრაინას, ამ დრომდე ამ ქვეყნის პრობლემა იყო გათიშულობა, ხელისუფლების შტოებს შორის შეუთანხმებლობა და საზოგადოების ნაწილში სახელმწიფოებრიობის ვერგანცდა. ხაზგასასმელია მნიშვნელოვანი ფაქტორი - უკრაინელებს ბრძოლა ყოველთვის შეეძლოთ. იყო დრო, როდესაც ისინი ერთად ებრძოდნენ რუსეთის იმპერიას, შვედეთს, პოლონეთს და ოსმალეთს, ხშირ შემთხვევაში იმარჯვებდნენ კიდეც. ზელენსკის მთავრობამ ზემოაღნიშნული პრობლემა (ერის გათიშულობა) მოაგვარა, ერი გააერთიანა საერთო მიზნის გარშემო - უკრაინა უნდა იყოს ძლიერი და დასავლური ბანაკის განუყოფელი წევრი. ფრონტის ხაზზე უკრაინელთა წარმატების მიუხედავად, რუსეთს სამი კოზირი დარჩა: ენერგოსექტორის დაბომბვა, მობილიზაცია და ატომური იარაღის გამოყენება. კრემლი ორ კოზირს იყენებს, მაგრამ ბრძოლაში წარმატებას ვერ აღწევს. სოლიდარის აღებამ ვერაფერი შეცვალა სამხედრო თვალსაზრისით. ეს პატარა ქალაქი პრაქტიკულად განადგურდა, რასაც ათასობით ოკუპანტი შეეწირა. ცხადია, დანაკარგები აქვს უკრაინულ მხარესაც. გარდა ამისა, ბახმუტში ყოველდღიურად ასობით რუსი სამხედროს ლიკვიდაცია ხდება, ამიტომ რუსეთი უკრაინის ინფრასტრუქტურას და საცხოვრებელ სახლებს ანადგურებს, რათა მოსახლეობა საკუთარი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განაწყოს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასავლეთმა უკრაინას ათასობით გენერატორი გადასცა ენერგეტიკული სექტორისთვის. სათქმელია ისიც, რომ მობილიზაცია რუსეთში არც ისე წარმატებით მიმდინარეობს, ბრძოლისუნარიანი ბატალიონების შექმნას წლები სჭირდება, ამდენი დრო რუსეთს არ აქვს, რჩება მესამე კოზირი -ატომური იარაღის გამოყენება. ამ მხრივაც ხელისშემშლელი ფაქტორი: არსებობს ტაქტიკური და სტრატეგიული ბირთვული იარაღი, ამ უკანასკნელის გამოყენება ამ შემთხვევაში არარეალევანტურია - მას დამანგრეველი შედეგი ექნება. ხოლო თუ რუსეთი დასავლეთ უკრაინაში ან კიევში გამოიყენებს ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს, ამას ძალიან მწვავე რეაგირება მოჰყვება დასავლეთის მხრიდან, რადგან ეს უკრაინელთა გენოციდს ნიშნავს. პუტინი არაა დარწმუნებული, რომ მის ბრძანებას ატომური იარაღის გამოყენების შესახებ გენერალიტეტი შეასრულებს, ჰააგის სასამართლოში გასამართლება არავის უნდა... რუსეთი ჩრდილოეთ კორეა არ არის, დიდხანს იზოლაციაში ყოფნას ვერ გაუძლებს. თვით საბჭოთა კავშირმა ვერ გაუძლო კონკურენციას დასავლეთთან და ჩამოიშალა. ყველაფერი ცხადყოფს, რომ კრემლი მზად არ არის დასავლეთთან საომრად. დაწესებული ეკონომიკური სანქციები მას ძალიან დაუზარალებს, გამოიწვევს რუსული ეკონომიკის კრიზისს, რაც უკვე დაწყებულია, ხოლო რუსეთის საზოგადოება ხელისუფლებას როდის გამოუტანს ვერდიქტს, დრო დაგვანახებს. ოფიციალური კიევის ინფორმაციით, დაღუპულია დაახლოებით ასი ათასზე მეტი ოკუპანტი, ამდენივე დაიჭრა, განადგურებულია ათიათასობით რუსული სამხედრო ტექნიკა, კიევი რუსეთის სამხედრო ბაზებს უკვე მათ ტერიტორიაზე ბომბავს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ უკრაინული არმია მოტივირებულია, თანაც დასავლეთი ეხმარება. შეგახსენებთ, რა თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა: „არ დავუშვებთ რუსეთის გამარჯვებას ამ ომში“. ეს განცხადება მრავლისმთქმელია. ექსპერტები აცხადებენ, რომ დასავლეთი ეტაპობრივად ცდილობს შეაგუოს რუსეთი დამარცხებას, რადგან უფრთხიან ქვეყანაში ქაოსს - არ არის გამორიცხული რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყება, ამის გამოცდილება ამ სახელმწიფოს აქვს, რაც საფრთხის შემცველია სხვადასხვა ქვეყნისთვის, ამიტომ მსოფლიო თანამეგობრობა არ ჩქარობს უკრაინისთვის მძლავრი შეტევითი იარაღის მიწოდებას. ირჯებიან იმისთვის, რომ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშალოს. რუსეთზე უფრო ძლიერმა ქვეყნებმა რახანია უარი თქვეს უაზრო ომზე: აშშ-მა ვიეტნამის ომში განიცადა კრახი, საბჭოთა კავშირი ავღანეთში დამარცხდა, მანამდე ბრიტანეთმა დათმო კოლონიები. ყველა იმპერია დაიშალა, დარჩა მხოლოდ რუსეთი, რომელიც, ანალიტიკოსთა თქმით, წინამორბედთა ბედს გაიზიარებს. ასე რომ, თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდა (ომის დინამიკა ამაზე მიუთითებს), ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოსა და მოლდოვის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას, რაც პუტინის იმპერიული ზრახვების დასასრული იქნება.

უცხოეთი

გაზის ფასების შემცირება იმედს იძლევა, რომ ევროპა და გერმანია რეცესიის მართვასა და შემცირებასაც კი შეძლებენ, განაცხადა გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა რობერტ ჰაბეკმა. როგორც მან დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გამართულ პანელურ შეხვედრაზე აღნიშნა, საჭიროა უფრო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება მდგრადი ეკონომიკის შესაქმნელად.

* * *

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სახელმწიფო სათათბიროს წარუდგინა კანონპროექტი რუსეთის მიმართ ევროპის საბჭოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ. დოკუმენტი დუმის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში გამოქვეყნდა. საქმე ეხება ევროპის საბჭოს ქარტიას, ევროპის საბჭოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გენერალურ შეთანხმებას და მის ხუთ ოქმს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და მის ათ ოქმს, ტერორიზმის აღკვეთის ევროპულ კონვენციას, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას და ევროპის სოციალურ ქარტიას.

* * *

აზერბაიჯანმა სომხეთიდან მთიანი ყარაბაღისკენ მიმავალი ერთადერთი გაზსადენი გადაკეტა. ამის შესახებ „ეხო კავკაზა“ წერს. ყარაბაღის ე. წ. მთავრობის ინფორმაციით, სახელმწიფო მინისტრმა ინფრასტრუქტურის დარგის წარმომადგენლებს დაავალა მიიღონ ზომები ამ ობიექტების ფუნქციონირებისა და მოსახლეობის მინიმალური საჭიროებების ალტერნატიული გზებით უზრუნველსაყოფად. უკვე ერთი კვირაა ყარაბაღს ელექტროენერგია სომხეთიდანაც არ მიეწოდება. აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაზიანებულია სომხეთიდან შემოსული ერთადერთი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი.

* * *

26 იანვრიდან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნების მოქალაქეები (რუსეთი, ბელარუსი, სომხეთი და ყირგიზეთი) ყაზახეთში 180-დღიანი დარჩენის დაშვებული პერიოდის შემდეგ იძულებულნი იქნებიან, ქვეყანა 90 დღით დატოვონ. განცხადებას ამის შესახებ ყაზახეთის მთავრობა ავრცელებს. დარღვევის შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს შემდეგ ჯერზე ქვეყანაში არ შეუშვებენ. აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება მათ, ვინც დროებითი ბინადრობის უფლება გაიფორმა.

* * *

2022 წლის ბოლოს ინდოეთის მოსახლეობამ 1,417 მილიარდი შეადგინა, რაც ჩინეთის მოსახლეობას 5 მილიონით აღემატება. ამის შესახებ გამოცემა „ბლუმბერგი“ წერს. გამოცემის ინფორმაციით, ინდოეთის მოსახლეობის ნახევარი 30 წლამდე ასაკისაა. 17 იანვარს ჩინეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 1960-იანი წლების შემდეგ პირველად ჩინეთის მოსახლეობა, წინა წელთან შედარებით, 850 ათასი ადამიანით შემცირდა. ჩინეთის სტატისტიკის სამსახურის ცნობით, ქვეყანაში 1,411 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს.

მოამზადა
ია შველიძემ

კოოპერაცია გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს

ომარ შამილიშვილი 22 წელი იყო აჭარკოოპკავშირის თავმჯდომარის მოადგილე. იმ ორგანიზაციის, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტისთვის საკმაოდ დიდი თანხა, ხოლო ამ სისტემაში გაერთიანებული მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალი მოჰქონდა

ბატონი ომარი კოოპერაციის სისტემის მოსპობას საქართველოში დიდ შეცდომად თვლის და მიიჩნია, რომ მოსახლეობისგან მოწეული პროდუქციის ჩაბარება-დამზადება-რეალიზაციით დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ ქვეყნისთვისაც და გლეხებისთვისაც, რომლებსაც მიწაზე მუშაობა არ ეზარებოდათ. დღეს ძალიან მწვავედ დგას სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოწევა-რეალიზაციის საკითხი, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოფლად მცხოვრები, მიწათმოქმედებითა და მეცხოველეობით დაკავებული ადამიანების კეთილდღეობა. წერილში, რომელიც ორი თვის წინ სწორედ ომარ შამილიშვილის ავტორობით გამოვაქვეყნეთ, საუბარია მოსახლეობისგან ციტრუსის მოსავლის შესყიდვა-რეალიზაციის სისტემის გაუმართაობასა და აქედან გამომდინარე, სიძნელეებზე, რაც მეციტრუსეებს გვარიანად აზარალებს, რადგან მათ მიერ მოწეული პროდუქციის თვითღირებულება სარეალიზაციო ფასზე ბევრად მეტია. ერთი სისტემის გაუქმებას, თუ ეს აუცილებელია ქვეყნის წინსვლისთვის, უნდა მოსდევდეს მეორის, უფრო ქმედითუნარიანისა და პროგრესულის დანერგვა, სხვა შემთხვევაში აწყობილი სისტემის განადგურება მხოლოდ ზიანის მომტანია როგორც სახელმწიფოსთვის, ისე უბრალო მოქალაქისთვის. დღეს სწორედ კოოპერაციის სისტემის განადგურების უარყოფით შედეგებზე ვესაუბრებით ბატონ ომარს და ვეცდებით, ქვეყნისთვის სასიკეთო, სწორი გზა ერთად დავინახოთ.

- მაინც რა სიკეთეები მოჰქონდა კოოპერაციის სისტემას ქვეყნის ეკონომიკისთვის და რატომ გააუქმეს იგი?

- დღესაც არსებობს მსოფლიო კოოპერაციის სისტემა, კოოპერაციის ალიანსი, სადაც თავის დროზე ცეკავშირს (საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოება) თავისი გარკვეული ადგილი ჰქონდა. იგი ნამდვილად იყო ამ ალიანსის მოწინავე ორგანიზაცია. ცეკავშირი 1924 წელს შეიქმნა თბილისში, აჭარაში - 1933 წელს და სახელმწიფოში პატარა სახელმწიფოს სახით ლამის საუკუნე იარსება. ჩვენი საკუთრება გვქონდა, სახელმწიფოს იქით ვეხმარებოდით, ვურიცხავდით გარკვეულ თანხებს. წელიწადში მარტო დამზადებიდან რამდენიმე მილიონი ლარი შედიოდა ჩვენგან ბიუჯეტში. გარდა ამისა, კოოპერატორებს ჰქონდათ თავიანთი საპაიო თანხები ჩაბარებული აჭარკოოპკავშირზე. სულ 30 000 მეპაიე ჰყავდა აჭარკოოპკავშირს. ამდენივეს გააჩნდა კერძო საკუთრება. ყოველი თვის ბოლოს იღებდნენ აქედან თავიანთ პროცენტებს - დივიდენდებს. მთელ საქართველოში მილიონზე მეტი იქნებოდა ასეთი.

- ეს იმ უზრუნველყოფილი მოსახლეობის ნაწილი იყო, რომელიც ასე აკლია დღეს ქვეყანას...

- ხუთ რაიონს (ახლა რომ მუნიციპალიტეტები ჰქვია) ემსახურებოდა აჭარკოოპკავშირი. მოსახლეობისგან პროდუქციას ვყიდულობდით და რეალიზაციას ვუკეთებდით. ცეკავშირს, რომელიც მსოფლიო კოოპერაციის ალიანსის მოწინავე წევრი იყო 19-მილიარდიანი ქონება გააჩნდა. მისი გაუქმება დიდი გაუგებრობა და შეცდომა იყო სახელმწიფოს მხრიდან. 2007 წელს მთავრობამ იმ პირობით გააუქმა ეს სისტემა, რომ უკეთ მოუვლიდა მის ქონებასაც და იქ დასაქმებულ ხალხზეც იზრუნებდა, მაგრამ ეს პირობა არავინ შეასრულა. დაიშალა და განადგურდა კოოპერაციული ქონება, მასში შემავალი ორგანიზაციები,ზოგი გაიყიდა. 32 000-მა მეპაიემ ხელის ერთი მოსმით დაკარგა ქონება და შემოსავალი, დაზარალდა, ანუ უმუშევარი დარჩა 3 000 სპეციალისტი, რომლებიც ამ სისტემაში სხვადასხვა პოზიციაზე გვყავდა დასაქმებული. დაზარალებულთა შორის ასევე აღმოჩნდნენ სეზონურად და დროებით მომუშავე ადამიანები (დაახლოებით -12-15 ათასი). გარდა ამისა, ზარალი მიადგათ იმათ, რომლებსაც დიდი ოდენობით ფული ჰქონდათ ჩვენთან შემოტანილი. ბანკში არ ინახავდნენ, ჩვენთან - კი, რადგან დიდ პროცენტსაც ვაძლევდით და დამატებით - იმპორტულ საქონელსაც. რა თქმა უნდა, დაეკარგათ ეს ფულიც.

- ვინ მიისაკუთრა ეს ფული?

- აი, რა მოხდა: ფორმაცია რომ შეიცვალა და საბაზრო ეკონომიკა შემოვიდა, ჩვენ დაგვეწერა პლუსი და ეს ძალიან გვახარებდა. საბაზრო ეკონომიკა ზუსტად ჩვენს სტრუქტურას შეესაბამებოდა. აუარება საქონელი გვქონდა იმ დროს, ფულიც, მაგრამ ერთ დღეს ჩვენი თავმჯდომარე ჩამოვიდა და მითხრა, ცუდადაა საქმე, კოოპერაციას აუქმებენო. გამიკვირდა, ეს ხომ კერძო საკუთრება იყო, ხალხის ქონება. ასე თქვეს, რომ სახელმწიფო უკეთესად მოუვლის თქვენს ქონებასო. ცოტა ხანში რაც გვქონდა, ყველაფერი წაიღო სახელმწიფომ. ბოლოს საარსებოდ აღარაფერი დაგვრჩა. ვთხოვეთ, დაგვეხმარეთ, მოგვეცით სესხი, ჩვენ ხომ დაგეხმარეთ და მოგეცით ჩვენი საკუთრება, ახლა თქვენ დაგვეხმარეთ და მოგვეცით სესხი, რომ ამდენი ხალხი უმუშევარი არ დარჩეს. არცერთმა ფორმაციამ ფული არ გვასესხა. თურმე ჩაფიქრებული იყო კოოპერაციის გაუქმება და მართლაც, გაუქმდა - ერთ მილიონამდე საქართველოს მოქალაქე ერთ დღეში დარჩა უმუშევარი. მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც მანამდე გვპირდებოდა, რომ ჩვენზე უკეთ აამუშავებდა კოოპერაციაში შემავალ ორგანიზაციებს, ყველა რაიონში დახურა ჩვენი ობიექტები - საზკვების, დამზადების, წარმოების, უნივერმაღები... ეს ხალხი გამოყარა ქუჩაში.

- ცხადია, გარდა იმ ხალხისა, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ თქვენთან, დაზარალდნენ გლეხებიც, რომლებიც სარეალიზაციოდ აბარებდნენ თავიანთ პროდუქციას კოოპერაციულ ორგანიზაციებს.

- რა თქმა უნდა, ისინი ჩვენგან სანაცვლოდ ანაზღაურებას იღებდნენ. ყველაფერი რომ მოაკლდათ, ამიტომ დატოვეს მასობრივად საქართველო. „ნაციონალებმა“ ყველა ჩვენი ობიექტი წაიღეს. რაც უნდოდათ, დაიტოვეს, რაც არა - გაყიდეს. ჩვენი ქონება მთლიანად განადგურდა. გაუქმდა ბათუმის ორი ციტრუსკომბინატი, ციტრუსის შემფუთავი 12 თანამედროვე პავილიონი, რომლებიც დღე-ღამეში 70-80 ტონა ციტრუსს ახარისხებდა. ამ საწარმოების უმაღლესი ხარისხის დანადგარები თურქეთში გაიყიდა, ხოლო შენობები დაიშალა. 40-ზე მეტი დამზადების პუნქტი დაიხურა სოფლებში. გლეხები, ფერმერები მარტონი დარჩნენ ციტრუსის რეალიზაციის პრობლემასთან, შემოსავალი დაკარგეს და არსებობისთვის საბრძოლველად უცხოეთს მიაშურეს. დღევანდელ ხელისუფლებას ევალება წინა ხელისუფლების საშინელი შეცდომის გამოსწორება, თუმცა გვესმის, რომ ურთულესია 98 წლის ნაშენი კოოპერაციის აღდგენა. მოსახლეობას საარსებო წყარო სჭირდება. აუცილებლად უნდა აშენდეს ციტრუსკომბინატი, რომელიც მიიღებს და გადაამუშავებს აჭარაში მოყვანილ ციტრუსს, მოსახლეობას გადაარჩენს მონური შრომისგან და შემატებს

> ***„პროდუქცია იგზავნებოდა უცხოეთში. ჩვენ ვამარაგებდით ამ ორგანიზაციებს მოსახლეობისგან ჩაბარებული საქონლით. პროდუქციას რომ გავყიდდით, მოგების პროცენტი მიდიოდა სახელმწიფო ხაზინაში. მოსახლეობასაც ჰქონდა შემოსავალი. ამის გაკეთება ახლაც შეიძლება, თუ...***

შემოსავალს. ამასთან, დღეს ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ სამკურნალო მცენარეები დამზადდეს. საქართველოში ათას ხუთასამდე დასახელების სამკურნალო მცენარე ხარობს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში არსებობს შპს „მარდი“, რომლის დირექტორ ომარ ქათამაძეს აქვს აჭარკოოპკავშირის პირობებში ერთწლიანი სამკურნალო მცენარეების დამზადებისა და საზღვარგარეთ რეალიზაციის გამოცდილება. მას აქვს საშუალება, მოსახლეობისგან ადგილზე ჩაიბაროს სამკურნალო მცენარეები, გაახმოს და გადატვირთოს უცხოეთში, თუმცა ამის რეალურად განხორციელებას აჭარის ხელისუფლების კეთილი ნებაც სჭირდება. მისი დახმარებით თუ დაარსდება სამკურნალო მცენარეთა დამზადებისა და რეალიზაციის ბაზა, ეს საგრძნობლად წაადგებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას. სამკურნალო მცენარეების დამზადება-ექსპორტი, კვლავ სრული დატვირთვით აამოქმედებდა მცენარეების შემსყიდველ-გამსაღებელ ბაზას, რომელიც დიდ შემოსავალს მოუტანს არა მარტო მოსახლეობას, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტსაც. ვფიქრობ, ერთწლიანი მცენარეების, რომლებიც ერთ წელიწადში ნეშომპალად იქცევა, ოქროდ გარდაქმნის შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

- ადრე ამას ცეკავშირი აკეთებდა - მოსახლეობისგან არა მარტო სამკურნალო მცენარეებს, სხვადასხვა პროდუქციას იბარებდა და საზღვარგარეთ ჰყიდდა...

- დიახ, 90 დასახელების საქონელს ვყიდდით უცხოეთში. პირველ რიგში, ეს იყო საკონსერვო ქარხნებში დამზადებული პროდუქცია. დამზადების ორი ვებერთელა ორგანიზაცია გვქონდა აჭარკოოპკავშირში - ორი ციტრუსკომბინატი. მარტო ამათგან 26 დასახელების (მურაბები, ჯემები, კომპოტები...) პროდუქცია იგზავნებოდა უცხოეთში. ჩვენ ვამარაგებდით ამ ორგანიზაციებს მოსახლეობისგან ჩაბარებული საქონლით. პროდუქციას რომ გავყიდდით, მოგების პროცენტი მიდიოდა სახელმწიფო ხაზინაში. მოსახლეობასაც ჰქონდა შემოსავალი. ამის გაკეთება ახლაც შეიძლება, თუ, როგორც ზემოთ ვთქვი, სახელმწიფო გამოიჩენს კეთილ ნებას. ვფიქრობ, საქმეს ისიც წაადგება, თუ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, შესყიდვისა და რეალიზაციის სამმართველო, რომელიც მოსახლეობას დაეხმარება. მისგან შეისყიდის ნამეტ პროდუქციას პირდაპირ მათი საცხოვრებელი ადგილებიდან. შეიძენს ხორცს, ქათამს, კვერცხს, კარაქს, ყველს, მჭადის ფქვილს, ბოსტნეულს, მწვანილს და ასე შემდეგ, ასევე მეორად პროდუქციასაც: ძვალს, ჩირს, ბუმბულს, რკინას, ალუმინს, სპილენძს და სხვა. ეს მოსახლეობის ეკონომიკურად გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ციტრუსკომბინატის გახსნაც, სადაც მოსახლეობა ყოველგვარ ხილს ჩააბარებს, საგრძნობლად გაზრდის მოსახლეობის შემოსავალს. ვფიქრობ, ამაზე ჩვენმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს. ხეხილის ბაზარში ჩატანა, შენახვა, გაყიდვა მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. თანაც დახლთან დგომას პროდუქციის რეალიზაციისთვის დიდი დრო სჭირდება. ჩამოტანილი ხილი ხშირად ვეღარ ფარავს გაწეულ ხარჯებს, ამიტომ გლეხს ეკარგება შემოსავალი. აღარ ყიდის თავის მოყვანილ ხილს. თუ ციტრუსკომბინატი ვერ აშენდება, შეიძლება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება-რეალიზაციის ბაზის გახსნა, რომელიც მიიღებს და გადაამუშავებს ყველა სახის ხეხილს. დაამზადებს ხილის ნატურალურ წვენებს, მურაბებს, კომპოტებს, კონსერვებს, ლიმონათს. გარდა ამისა, მოსახლეობა აითვისებს ტყის მცენარეების ნაყოფსაც: წყავს, მოცვს, მაყვალს, წაბლს და სხვა, რომელთაგან ბევრი სახეობის სასარგებლო და მოთხოვნადი პროდუქციის (სპირტი, ჩირი, კომპოტი, მურაბა...) მომზადება შეიძლება. საქართველოში შემოტანილი და გავრცელებული ხილისგან ერთ-ერთი საუკეთესოა კივი (აქტინიდია). რამდენადაც ვიცი, იგი სწორედ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე რესან კონცელიძემ შემოიტანა, რათა მთელ საქართველოში გაევრცელებინა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კივის ნერგები ქობულეთის სანერგე მეურნეობაში შემოიტანეს და მოსახლეობამ შეიძინა, თუმცა ჯერ არ იცოდა მისი დარგვა და მოვლა-პატრონობა. ამ საკითხში გლეხების გაცნობიერება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა ვანო პაპუნიძემ ითავა. მან შეისწავლა კივის კულტურის შესახებ ყველაფერი და 1998 წელს გამოსცა წიგნი, რომელსაც ასეც ჰქვია - „კივი-აქტინიდია“. მოსახლეობამ შეიძინა ეს წიგნი და მართლაც, მასობრივად მიჰყვეს ხელი მის მოშენება-გამრავლებას. იგი ნაყოფის მოცემას 4-5 წელიწადში იწყებს, 7-8 წელში სრულად მსხმოიარე ხდება, ხოლო 9 წლისა მაქსიმალურად დიდ მოსავალს იძლევა. იგი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ დროს უნდა მოიკრიფოს. მაგალითად, ავსტრიასა და ზელანდიაში მაის-ივნისში, იტალიაში - ოქტომბერ-ნოემბერში, საფრანგეთსა და კალიფორნიაში - ნოემბერში, საქართველოში - ოქტომბერ-ნოემბერში. ოთახის ტემპერატურაზე ეს ნაყოფი 2 თვეს ინახება, ოღონდ არ უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის პარკებში, უნდა შევინახოთ მუყაოს ან ხის ყუთებში. იქ, სადაც კივი ინახება, არ შეიძლება სხვა ხილის შენახვაც. უნდა მოიკრიფოს მშრალ და გრილ ამინდში. მოკრეფილი კივის ნაყოფის შეფუთვა დაუშვებელია. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინ C-ს, არის ძალიან ტკბილი (თუმცა შაქარი უმეტესად გლუკოზისა და ფრუქტოზის სახითაა) და გამოიირჩევა სურნელით. მას ფართოდ იყენებენ კულინარიაში, მისგან მრავალი სახეობის საკონდიტრო ნაწარმი მზადდება, ასევე - ლიქიორი, ღვინო, კონცენტრატები სხვადასხვა სასმელისთვის. აქვს სამკურნალო, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის, თვისებები. ამდენს ამ კულტურის შესახებ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მოსახლეობამ შეიტყოს მისი სარგებლიანობის შესახებ და მოაშენოს, თუმცა უბედურება ისაა, რომ ამ ხილის რეალიზაციაც პრობლემაა. აქაც ისევ და ისევ უნდა ვთქვათ, რომ აუცილებელია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძალისხმევა, რათა აშენდეს ციტრუსკომბინატი ან სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღება-რეალიზაციის ბაზა. ანალოგიური პრობლემაა თამბაქოს რეალიზაციასთან დაკავშირებითაც. მოსახლეობა ვერ ყიდის მოწეულ თამბაქოს მთელი წლის განმავლობაში, ბაზარში გატანის მიუხედავად. წინა ხელისუფლებამ დაანგრია კოოპერაცია, რითაც, პირველ რიგში, მოსახლეობა, საბოლოოდ კი მთელი ქვეყანა დაზარალდა.

მართლაც, გასაგებია ომარ შამილიშვილის გულისტკივილი, რადგან საბჭოთა კავშირის ეპოქაში შექმნილ კოოპერაციის სისტემაში ჩამოყალიბებული იყო მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, კოოპერატიული ინსტიტუტების და ტექნიკუმების ფართო ქსელი. ცეკავშირის სისტემა საქართველოში მთლიანად ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას, როგორც ვაჭრობის, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება-გადამუშავების დარგით. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები იწყებოდა კოოპერატივების ნგრევით. ჯერ კოოპერატივების კუთვნილების ნაციონალიზაცია მოხდა, შემდეგ კი პრივატიზება, თუმცა ბოლო დროს კოოპერაციის აღდგენისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, გამოვიდა კანონი კოოპერირების შესახებ, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომლის მიზანიცაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება იმ კოოპერატივებისთვის, რომლებიც ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ასევე, მისი ფუნქციაა მათთან მუშაობა, რათა დაიხვეწოს კოოპერატივების დამარეგულირებელი დოკუმენტაცია. კანონი იძლევა მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი გაერთიანების შესაძლებლობას, სახელმწიფო კი მხოლოდ მოდელს და შესაძლებლობას ქმნის, ეწევა პროცესის წახალისებას. უნდა ითქვას ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია განვითარებულია ყველა წარმატებულ ქვეყანაში. ვფიქრობთ, ბატონი ომარის შეხედულებაში, რომ კოოპერაციის სისტემის აღდგენა-გაძლიერება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ეკონომიკურად წელში გამართავს, რაც მთელი ქვეყნის ეკონომიკაზეც მოახდენს დადებით გავლენას, არის რაციონალური მარცვალი. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად დასაქმების პრობლემების გადასაჭრელად კოოპერაცია, მართლაც, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ამ ყველაფრის მიუხედავად, კოოპერაცია სოფლად რთულად იკიდებს ფეხს, რისი მიზეზიც, შესაძლოა ისიცაა, რომ ხალხის მეხსიერებაში ჩარჩენილია ადრინდელი კოოპერაციის ცუდი შედეგები. ისინი შიშობენ, რომ გაერთიანების შემდეგ მათ ქონებას ისევ სხვა დაეპატრონება. საჭიროა სოფლად მცხოვრებ ადამიანებამდე კოოპერაციის იდეის სწორად მიტანა. აუცილებელია მათთვის ახალი, რეალური შეთავაზებები, ახალი ბაზრები, რაც იქნება კოოპერატივების ახალი ბენეფიტი. ნათელია, რომ ახალი, აღმოსავლეთ ევროპის ბაზრების გარეშე, საქართველოს ამ ეტაპზე უჭირს განვითარება, რასაც, ომარ შამილიშვილის თქმისა არ იყოს, მართლაც სახელმწიფოს კეთილი ნება სჭირდება. ჩვენ ვეცდებით ამ თემაზე მსჯელობა პერიოდულად გავაგრძელოთ და უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ ამ საკითხში უფრო კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად.

მარინა მითაიშვილი

სად ვუშვებთ შეცდომებს უფროსები „გარდატეხის ასაკში“ მყოფ მოზარდებთან ურთიერთობისას?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბავშვობიდან ზრდასრულობაში გარდამავალი ასაკის თავისებურებები ის თემაა, რომელიც მუდმივად საჭიროებს განხილვას, საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას, განსაკუთრებით კი ერთგვარ რეკომენდაციებს მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის. როგორ მივუდგეთ ე. წ. გარდატეხის პერიოდში მყოფ მოზარდს, რომლის ტვინშიც და სხეულშიც არაერთგვაროვანი ცვლილებები მიმდინარეობს, რა ასაკიდან ეწყებათ მათ უფროსების მიერ დაკანონებულად შერქმეული „რთული პერიოდი“, რომელიც, ალბათ, უფრო ბავშვის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია, და რა გარემოებები იწვევს მათში მეამბოხეობას - ამაზე გვესაუბრება კლინიკური ფსიქოლოგი ***მანანა დევაძე.***

- როგორ და რა მიდგომებით უნდა მოვახერხოთ გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული პრობლემების შედარებით ცივილურად მოგვარება?

- ეს თემა, დღესდღეობით, ერთ-ერთი აქტუალური და საკმაოდ პრობლემურია. გარდატეხის პერიოდში მოზარდის ფიზიკურ ცვლილებებთან ერთად, მიმდინარეობს ჰორმონალური ცვლილებებიც, ეს ის პერიოდია, როდესაც მოსწავლეს უწევს ბრძოლა სოციალური აღიარებისთვის, უყალიბდება მე-კონცეფცია, ეცვლება შეხედულებები, გემოვნება, დამოკიდებულებები, ბავშვობიდან გადადის ზრდასრულობაში. ეს ყველაფერი განაპირობებს ოჯახსა თუ სკოლაში მოზარდის ქცევის ცვლილებას. იმისათვის, რომ გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული სირთულეების პრევენცია შევძლოთ, აუცილებელია ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა არა მარტო სკოლაში, არამედ სახლშიც. სწორედ ამ დროს სჭირდება მოზარდს გვერდით დგომა, გზის ჩვენება, დახმარება, აუცილებელია, რომ მშობლებს ემოციური კავშირი ჰქონდეთ შვილებთან, ხშირად ისაუბრონ მათთან, გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და ემოციები. მოზარდს უნდა ჰქონდეს საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობა, არ უნდა იზღუდებოდეს გარშემომყოფებისგან. მშობელმა და მასწავლებელმა უნდა იზრუნონ შვილისა თუ მოსწავლის ადეკვატური თვითშეფასებისა და ზოგადად, პოზიტიური მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდი იყოს ისეთ გარემოში, სადაც თავის პოტენციალს იპოვის და განავითარებს. ყოველივე ზემოთქმული მეტწილად უზრუნველყოფს გარდატეხის ასაკის თავისებურებების პოზიტიურ განვითარებას, აქცენტი გაკეთდება დადებით მხარეზე, რაც განაპირობებს მეტ კარგ შედეგს.

- ხშირად არსებულ პრობლემას მშობლები არასწორად უდგებიან, იწყება ერთგვარი გაუცხოება, არ ხერხდება სრულყოფილი დიალოგი, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს აგრესიას. რა რეკომენდაციას მისცემთ მშობლებს?

- თაობათა შორის დაპირისპირება მარადიული პრობლემაა, მოზარდი ინტერესის სიმძაფრით, ზრდასრული კი შეცდომის დაშვების შიშით, გარკვეულ თემებთან დაკავშირებით, ეჭიდებიან ერთმანეთს. მუდამ არის განსხვავებული შეხედულებები და ორი შესაძლო „სწორი“ არჩევანი, ზრდასრულმა განიცადა რაღაც და არ უნდა მოზარდმაც იგივე განიცადოს, მოზარდს კი უნდა იგემოს თავისი არჩევანი, რაც თითქოს აკრძალული ხილივითაა მისთვის... სხვადასხვა ეპოქის შვილებთან მიდგომებიც და შეხედულებებიც განსხვავებულია, რაც, ბუნებრივია, თუმცა ფაქტია, ადამიანებმა ასაკის, მრწამსისა თუ დამოკიდებულებების მიუხედავად, უნდა ვისწავლოთ სხვისი განსხვავებული აზრის, შეხედულებების, დამოკიდებულებების პატივისცემა. მნიშვნელოვანია, რომ რაციონალურად მივუდგეთ ამა თუ იმ საკითხსა თუ ქმედებას, დავმშვიდდეთ და შემდგომ ვისაუბროთ ზედმეტი ემოციების და აგრესიის გარეშე. არის შემთხვევები, როდესაც მოზარდი უშვებს შეცდომას, რომელიც ზრდასრულებისთვის შესაძლოა ზედმეტად ალოგიკური იყოს. ამის გამოც გამოხატავენ უკმაყოფილებას, აგრესიას (განიკითხავენ და ეჩხუბებიან მოზარდს), გარკვეულწილად ისეთ რეაქციას ავლენენ, რაც განაპირობებს მოზარდის თავმოყვარეობის შელახვას, ბრაზს, შესაბამისად, ეს მიდგომა უფრო მეტად ართულებს მოზარდთან კომუნიკაციას, იწვევს გაუცხოებას და ქმნის ბარიერს თაობათა შორის. ამ დროს მოზარდს სჭირდება ადამიანი, ვინც კი არ განიკითხავს, არამედ მეგობრულად მიუდგება, ეტყვის, რა იყო არასწორი და სწორ ალტერნატივასაც უჩვენებს, მოზარდს აგრძნობინებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უპირობოდ უყვარს და მის გვერდით არის. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა შვილები დამოუკიდებელ პიროვნებებად მიიღონ, გაიაზრონ, რომ შვილის პასუხისმგებლობა მათი პასუხისმგებლობა არაა, რომ თუ შვილი „არასწორად“ მოიქცევა, ეს მათი „სირცხვილი“ არ არის, რომ შვილებსაც აქვთ ცდის და შეცდომის დაშვების უფლება და პასუხისმგებლობის აღების ვალდებულება. მოზარდთან, როგორც თანასწორთან, ისე უნდა ვისაუბროთ, ამ დროს ისინი მეტად იხსნებიან და გამოხატავენ მზაობას ინფორმაციის გაცვლისთვის. ყველას გვაქვს სასურველი ქცევის მოდელი. მშობლები, ძირითადად, ამ მოდელიდან გამომდინარე ესაუბრებიან შვილებს, მნიშვნელოვანია, სასურველი ქცევის მოდელი და სტანდარტები გვერდით გადავდოთ, რთულ სიტუაციებში მოზარდთან საკუთარი გამოცდილებით ვისაუბროთ, მოვიყვანოთ მაგალითები იმის დასტურად, რასაც ვამბობთ. არ შეგვრცხვეს შეცდომის აღიარება, პირველი ნაბიჯის გადადგმა და თუნდაც სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც გააღრმავებს შვილთან კომუნიკაციას.

- ინდივიდუალიზმის, საკუთარი იდენტობის ძიების პროცესში მოზარდები ხშირად აგრესიულები ხდებიან, ვერ ახდენენ რეალურ მოცემულობაზე სწორ რეაგირებას - თითქოს იკარგებიან დროსა და სივრცეში. რა გარემოებები ახდენს ამ დროს მათზე ზეგავლენას?

- მოზარდზე გავლენას არაერთი გარემოება ახდენს, ეს საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც მრავალი ფაქტორი იყრის თავს. მნიშვნელოვანია ღრმა ბავშვობიდან დაწყებული აღზრდის სტილი, ურთიერთობები და გარემო პირობები, აგრეთვე, მედიის გავლენა - ნეგატიური ინფორმაციები, რომლებსაც მოზარდები იღებენ სხვადასხვა ტელევიზიისა თუ სოციალური ქსელის საშუალებით ამძაფრებს მათ ემოციებს. ადამიანი სოციალური არსებაა, სოციალური ურთიერთობებისას კი ხშირად ვხვდებით არასწორი ქცევისა თუ კომუნიკაციის მოდელს, რომელსაც ბავშვები მარტივად სწავლობენ, შემდგომ თავადაც ასე იქცევიან. ამას ემატება საკუთარი იდენტობის ძიების პროცესში აღმოჩენილი „ნაკლი“, კონკურენტული გარემო, სოციალური აღიარებისა და თავის დამკვიდრების მძაფრი სურვილი, რომელიც განხორციელების სირთულიდან გამომდინარე, იწვევს მოზარდის შფოთვასა და გაღიზიანებას. იგი გრძნობს ცვლილებებს, გაზრდას და უნდა, სხვებმაც დიდად ჩათვალონ, თუმცა მშობლებისთვის შვილი კვლავ პატარად რჩება, რაც იწვევს მათ პროტესტს. მოზარდები მუდმივად რაღაცას ამტკიცებენ, ცდილობენ თავიანთი აზრისა და პოზიციის დაცვას, მეტად ორიენტირებულნი არიან სხვის აზრზე. ამ დროს მათთვის ავტორიტეტი არა მშობლები, არამედ პოპულარული თანატოლები არიან, მეტად ეწინააღმდეგებიან მშობლებს, რომლებიც ამას ვერ ეგუებიან, რაც ამძაფრებს მდგომარეობას. ფაქტობრივად, მოზარდს სოციალური აღიარებისთვის ბრძოლა უწევს არა მარტო სკოლასა თუ „ეზოში“, არამედ საკუთარ სახლშიც კი. სადავოა მოსაზრება, იწვევს თუ არა აგრესიას სიძულვილისა და ძალადობის შემცველი ფილმები, თუმცა ფაქტია, რომ იგი, გარკვეულწილად, პროექციის საშუალებას აძლევს მოზარდს და, ამასთანავე, ზრდის აპათიისა და აგრესიის გამოვლენის რისკებს, ისევე, როგორც კომპიუტერული თამაშები. გარდა იმისა, რომ მოზარდი განიცდის ჰორმონალურ ცვლილებებს, იცვლება ფიზიკურად, უჩნდება კომპლექსები. ზემოთქმულთა ერთობლიობა გავლენას ახდენს თვითშეფასებაზე, რაც მოზარდს მეტად მოწყვლადს ხდის ბრაზისა და აგრესიის მიმართ.

- მოზარდების გაჯეტებზე დამოკიდებულება, კომპიუტერული თამაშები კიდევ ერთი თავსატეხია მშობლებისათვის. ამ დროს ისინი ნაკლებად არიან კომუნიკაციაში რეალურ სამყაროსთან. როგორ უნდა მოვახერხოთ ამის კონტროლი, დოზირება?

- გაჯეტებზე დამოკიდებულება ნამდვილად დიდი თავსატეხია. 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერაა, რაც ართულებს გაჯეტებიდან მოზარდების ყურადღების სხვა რამეზე გადართვას, თუმცა გამოსავალი ყოველთვის არსებობს. იმისათვის, რომ გაჯეტებზე დამოკიდებულება შემცირდეს, დროის მენეჯმენტია საჭირო. მოზარდს უნდა ჰქონდეს შემუშავებული დღის განრიგი, კვების რეჟიმი, აუცილებელია, სახლში მოქმედებდეს წესები, იყოს ერთობლივი აქტივობები. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც მოზარდს კვების რეჟიმი არეული აქვს, თამაშობს მთელი დღე, საკვებსაც კი თამაშისას მიირთმევს, რასაც საკმაოდ ცუდ შედეგამდე მივყავართ. აუცილებელია, რომ კვებისას ადამიანი რაიმეთი არ იყოს დაკავებული, მით უფრო - კომპიუტერული თამაშით. აუცილებელია განისაზღვროს კომპიუტერული თამაშისთვის დროის ლიმიტი, რომელიც მკაცრად გაკონტროლდება. მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ მოზარდის ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესებას, დაკავდეს სპორტით, ოჯახში დრო დაეთმოს საერთო აქტივობებს, შეკრებებს და ურთიერთობებს, რაც ხელს შეუწყობს კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულების შემცირებას და ნორმირებას.

- ერთ-ერთ სკოლაში ფსიქოლოგად მუშაობთ. თქვენი აზრით, რამდენად არიან მოზარდები მზად, ისაუბრონ პრობლემებზე და თუ ახერხებთ მათ სრულყოფილად დახმარებას?

- საკმაოდ დიდი დროა, რაც სკოლაში ვმუშაობ, შეხება მაქვს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან, რომლებიც სხვადასხვაგვარად რეაგირებენ გამოწვევებსა თუ სირთულეებზე. ასაკის მიხედვითაა ინიციატივის გამოჩენა ფსიქოლოგთან გასაუბრებისთვის. ძირითადად, ინდივიდუალური შეხვედრები მაქვს მასწავლებლისა და მშობლის მომართვის საფუძველზე. ფსიქოლოგიურ საკითხებზე ვატარებ შეხვედრებს, მიწევს ინტერაქციის წარმართვა კლასში ბავშვებთან, შემდგომ კი, რაიმე პრობლემის არსებობისას, ცალკე ინდივიდუალურ შეხვედრას ვთავაზობ ამა თუ იმ მოსწავლეს. ჯგუფური შეხვედრისას მოსწავლეები საკმაოდ აქტიურად ერთვებიან ფსიქოგანათლების მხრივ აქტივობებსა და ინტერაქციაში. რაც შეეხება ინდივიდუალურ შეხვედრებს, არის შემთხვევა, როდესაც მოზარდი თავისი ინიციატივით მოდის კონსულტაციაზე, თუმცა ეს დამოკიდებულია ემოციურ მდგომარეობასა და პრობლემის სიმძაფრეზე. იკვეთება არა მარტო ასაკობრივი კატეგორიის, არამედ, სქესთა განსხვავებულობის მხრივ მზაობა, კერძოდ, მდედრობითი სქესის მოსწავლეები მეტად გამოხატავენ შეხვედრის სურვილს, ვიდრე მამრობითი. შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგთან საუბარი მოზარდთა მხოლოდ მცირე ნაწილს სურს, უმრავლესობა არ არის მზად

> ***„გაჯეტებზე დამოკიდებულება ნამდვილად დიდი თავსატეხია. 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერაა, რაც ართულებს გაჯეტებიდან მოზარდების ყურადღების სხვა რამეზე გადართვას, თუმცა გამოსავალი ყოველთვის არსებობს. იმისათვის, რომ გაჯეტებზე დამოკიდებულება შემცირდეს, დროის მენეჯმენტია საჭირო. მოზარდს უნდა ჰქონდეს შემუშავებული დღის განრიგი, კვების რეჟიმი, აუცილებელია, სახლში მოქმედებდეს წესები, იყოს ერთობლივი აქტივობები“***

ფსიქოლოგთან ემოციებზე საუბრის დასაწყებად, მიუხედავად იმისა, რომ მოზარდი შესაძლოა, საკმაოდ აქტიური და ინიციატივიანი იყოს. ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც მოზარდს ინდივიდუალური შეხვედრისას საუბარი უჭირს, ასეთ დროს წერა შემითავაზებია ალტერნატივად და მოსწავლისთვის ეს მეთოდი უფრო მარტივია ემოციებსა თუ პრობლემებზე სასაუბროდ. არის შემთხვევა, როდესაც მეტაფორულ ბარათებს ვიყენებ ფსიქოკონსულტირებისას და ამ ტექნიკით მოსწავლეს გამარტივებია საუბარი. ყოველ მათგანს სხვადასხვა მიდგომა სჭირდება, ასაკისა და ხასიათის ტიპის შესაბამისად. არაერთ მოსწავლეს ჰქონია შედეგი, თუმცა ფაქტია, რომ მოზარდის პრობლემის აღმოსაფხვრელად მხოლოდ სკოლაში მუშაობა არ კმარა. არის შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვობისდროინდელ ტრავმებთან და მოზარდს სჭირდება არა მხოლოდ ფსიქოკონსულტირება და ფსიქოლოგთან სესიები, არამედ ფსიქოთერაპია. ამ დროს მშობელზეა დამოკიდებული, მიიყვანს თუ არა მოზარდს ფსიქოთერაპევტთან. მნიშვნელოვანია, რომ ოჯახმა გაითვალისწინოს ფსიქოლოგის რეკომენდაციები, სკოლა და ოჯახი ერთობლივად უნდა მოქმედებდეს. მშობელთა ნაწილი მზად არის ჩვენთან თანამშრომლობისთვის, თუმცა ნაწილისთვის ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროება „ზედმეტია“ და ნებისმიერი პრობლემური ქცევის აღმოფხვრის გზად მოზარდთან დირექტიული მიდგომა და „დასჯა“ მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში პრობლემა, სამწუხაროდ, კვლავაც პრობლემად რჩება.

ჰაერში მყარი ნაწილაკების მატება... ყარაყუმის უდაბნოს „დამსახურებაა“

გარემოს ეროვნული სააგენტო განცხადებით, 18 იანვრიდან საქართველოს ზოგიერთ რაიონში, ასევე დედაქალაქში, ატმოსფერულ ჰაერში ფიქსირდება მყარი ნაწილაკების (PM 10, PM 2.5) მატება, რაც, ძირითადად, ტრანსსასაზღვრო დაბინძურებას უკავშირდება და, დიდი ალბათობით, ყარაყუმის უდაბნოდან მტვრის მასების გავრცელებითაა გამოწვეული.

სააგენტოში აღნიშნავენ, რომ პროცესის მიზეზი ზუსტდება გარემოს ეროვნული სააგენტოს სინოპტიკოსების მიერ, სხვადასხვა მეტეოროლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც გარკვეული დროს საჭიროებს.

„აღსანიშნავია, რომ ტრანსასაზღვრო დაბინძურება წლის განმავლობაში გარკვეულ დღეებში ფიქსირდება ანალოგიური სინოპტიკური სიტუაციის დროს და მეტეოროლოგიური მოვლენაა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს ავტომატური სადგურების საშუალებით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინფორმაციას ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ და მიიღოს ჯანდაცვითი რეკომენდაციები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე“, - აცხადებენ სააგენტოში.

ამირან გურიელიძე

„სკოლების ოპტიმიზაციისა და კადრების შემცირების პროცესი შევაჩერეთ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, „საპატიო შუახეველს“, სამთავრობო ჯილდოების მფლობელს ***ლევან ნატარიძეს*** *დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

- ბატონო ლევან, რა არის მთავარი, წუთისოფელში კვალი ნათელი რომ დატოვო?

- პირველ ყოვლისა, მადლობას გიხდით, რომ გაზეთი „აჭარა“ ჩემი საქმიანობით დაინტერესდა. ვიტყოდი, რომ ყოველი ადამიანი უნდა შეეცადოს წუთისოფელში კეთილსინდისიერი შრომით, მადლის კეთების სურვილით იაროს. არ არსებობს დიდი და პატარა საქმე, ყველა ღირებულია, თუ მას გულით და სიყვარულით აკეთებ. საზოგადოება არასდროს რჩება გულგრილი პატიოსანი და მშრომელი ადამიანის მიმართ, მადლი ცოტაც რომ აკეთო, დაინახავს, თუ მას გულით აკეთებ. ჩემ მიერ განვლილი გზა შეუმჩნეველი არასოდეს დარჩენილა.

- პედაგოგიურ სარბიელზე თქვენი გამოჩენა რამ განაპირობა?

- პატარაობიდანვე მასწავლებელი უფლის ტოლფასად მიმაჩნდა. მას საზოგადოებაში მუდამ საპატიო ადგილი ეჭირა და მეც მასწავლებლობაზე დიდი პროფესია ქვეყნად არ მეგულებოდა. შესანიშნავი აღმზრდელები მყავდა. აწ განსვენებული ჩემი პირველი მასწავლებელი მამუდ თავდგირიძე, შემდგომ შალვა ივანაძე, ნადია მიქელაძე, შადიმან და დიმიტრი უსტიაშვილები, აბესალომ აბუსელიძე, ნოდარ თავდგირიძე, თამარ გოგიტიძე... ჩემი არჩევანი მეტწილად მათ განსაზღვრეს.

- დიდხანს მასწავლებელთა მასწავლებლის, ანუ მეთოდისტის ტიტული გქონდათ...

- ბათუმის შოთა რუსთაველის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის (ასე ერქვა მაშინ) დამთავრების შემდეგ, ჩემს მშობლიურ გორას დაწყებით სკოლაში დავიწყე გამგე-მასწავლებლად მუშაობა. ჩემი საქმიანობა აჭარის განათლების სამინისტრომ შეისწავლა, მოიწონა და რამდენიმე კლასთან მუშაობის ფორმები და მეთოდები განაზოგადა. ასე აღმოვჩნდი მოწინავეთა რიგებში. მაშინ „პედაგოგიური კითხვები“ ტრადიციულად ტარდებოდა. საინტერესო მოხსენებები რესპუბლიკურ და საკავშირო პედაგოგიურ კონფერენციებზე იგზავნებოდა. ეს პატივი მეც მერგო და 1977 წელს ალმა-ათის საკავშირო პედაგოგიურ კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. ამავე წელს პირველად ჩატარდა მასწავლებელთა ატესტაცია და შუახევის რაიონში სამ პედაგოგს - ოლადაურის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელ ალექსანდრე მაკარაძეს, უჩამბის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელ თეიმურაზ ბერიძესა და მე, საქართველოს განათლების მინისტრ ოთარ ქინქლაძის ბრძანებით, უფროსი მასწავლებლის წოდება მოგვენიჭა. 2003 წელს აჭარის განათლების სამინისტრომ ნოვატორი პედაგოგის წოდება მომანიჭა. 1980 წლიდან გადამიყვანეს შუახევის განათლების განყოფილების ჯერ დაწყებითი კლასების მეთოდისტად, შემდეგ, აღმზრდელობითი მუშაობის მთავარ სპეციალისტად. ყოველწლიურად თითქმის ყველა სკოლაში მივდიოდით. ფეხით მაქვს შემოვლილი შუახევის რაიონის ყველა სოფელი და უბანი. ვეხმარებოდით ახალბედა მასწავლებლებს, ვიწონებდით მოწინავე პედაგოგების გამოცდილებას. პირველმა დავნერგე გამოცდილ პედაგოგთა მიერ საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდისტად მუშაობის დროს, სკოლებში შემოვიღე კლასის ხელმძღვანელის დავთარი და კლასის ხელმძღვანელის საათი, რომელიც საგაკვეთილო ცხრილში შევატანინე, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. საქართველოს განათლების სამინისტრომ იდეა მოიწონა და სიახლედ ჩაგვითვალა.

- ჯაბნიძეებელი ნატარიძეების გვარიდან ერთ-ერთმა პირველმა ჩაბარეთ ასპირანტურაში. რატომ აღარ გაჰყევით მეცნიერებას?

- ინსტიტუტი წარჩინებით დავამთავრე. 1979 წელს ჩავირიცხე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, დაუსწრებელ განყოფილებაზე პედაგოგიკისა და ისტორიის სპეციალობით. აქ ლექციებს მიკითხავდნენ ცნობილი მეცნიერები ნათელა ვასაძე, ვლადიმერ გაგუა, გივი ჭანიშვილი, ირაკლი კვიჟინაძე, ნათელა იმედაძე. ჩავბარე საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები და დისერტაციაზე მუშაობაც დავიწყე. მეცნიერ-ხელმძღვანელად ქალბატონი ბელა გომელაური დამინიშნეს. დადგა სოფლიდან ქალაქში გადასვლის აუცილებლობა. ოჯახში ხანდაზმული დედა მყავდა, როცა ჩემი გადაწყვეტილება გავუმხილე, მითხრა - წადი, შვილო, მე აქედან არსად წამსვლელი არ ვარ და წყლის მომწოდებელს როგორმე ვნახავო. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ დედის სიცოცხლეში სოფლიდან არ გავსულვარ. დისერტაციაზე მუშაობაც იმ დღიდან შევწყვიტე. არ ვიცი, რა დონის მეცნიერი მუშაკი ვიქნებოდი, მაგრამ დედის წყენა მთელი ცხოვრება გამყვებოდა და ამიტომ არ ვნანობ.

> *„პროფესიულ კავშირებში საქმიანობა უფრო მეტი ინიციატივის საშუალებას იძლევა. აქ პედაგოგთა ინტერესების, მათი შრომითი და სამართლებრივი უფლებების დაცვა და პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა მთავარი პრიორიტეტია. ამას კულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებიც ემატება და, რომ იტყვიან, საქმე თავზე საყრელია*

- სანანებელი არც გაქვთ - კარგი მასწავლებლობის შემდეგ მათი უფლებების დამცველის სტატუსი გაქვთ.

- 21-ე საუკუნის დასაწყისში, როცა განათლების სისტემის რეორგანიზაცია მოხდა და რაიონებში განათლების განყოფილებების ბაზაზე რესურსცენტრები ჩამოყალიბდა, მთავარ სპეციალისტთა სამსახურებმა ფუნქცია დაკარგა. მე პედაგოგთა უფლებების დამცველთა რიგებში ჩავდექი და აქ ჩემი შესაძლებლობების წარმოჩენა ვცადე. როგორ გამომდის, ეს მათ უნდა ჰკითხოთ.

- ოჯახზე რას გვეტყვით?

- შვილების მომავალზე ზრუნვა ყველა მშობლის მოვალეობაა, მაგრამ შვილებმაც უნდა შეგვიწყონ ხელი. ამ მხრივ, მადლობა ღმერთს, ბედს არ ვემდური. ბედნიერებაა, რომ ხუთი შვილიშვილის ბაბუა ვარ. მშვიდი და წყნარი ოჯახი მაქვს. მეუღლე - ნანული აბუსერიძე პროფესიით პედაგოგია. ყოველ საქმესა და წამოწყებაში გვერდით მიდგას. რძლებშიც გამიმართლა. ჩემი ერთი ვაჟი ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსია, მეორე - ზედა აჭყვის საჯარო სკოლის დირექტორი.

- პედაგოგიური საქმიანობიდან უფრო მეტი გაქვთ გასაახსენებელი თუ მასწავლებელთა უფლებების დაცვის კუთხით?

- უკვე ვთქვი, რომ ჩემთვის დიდი და პატარა საქმე არ არსებობს. ყველა საქმე დიდია და შეძლებისდაგვარად ვცდილობ, უნაკლოდ ვაკეთო. როგორ გამომდის ეს, სხვები განსჯიან. პედაგოგიურ სარბიელზე ყოველთვის ვნახულობდი ჩემთვის საინტერესო საქმეს. მახსოვს, გორის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი რომ ვიყავი, ჩვენი საქმიანობა უფრო საინტერესო რომ გახადა, საქართველოს მთიანი რაიონების განათლების განყოფილებებს წერილი დავუგზავნე, ვთხოვდი, მათი დაწყებითი სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები გამომხმაურებოდნენ. პირველად ყვარლის რაიონის შაქრიანის დაწყებითი სკოლა გამომეხმაურა. დავამყარეთ მეგობრული ურთიერთობა. მოსწავლეები წერილებს წერდნენ თანატოლებს, თავიანთ საქმიანობაზე ესაუბრებოდნენ. მასწავლებლებიც შევხვდით ერთმანეთს და გამოცდილება გავუზიარეთ. ამით დიდი და კარგი საქმე გაკეთდა. ბავშვებმა ესეების გამართული წერა ისწავლეს. ერთმანეთს შეეჯიბრნენ. დღესაც მაქვს შენახული მათი გამოგზავნილი წერილები. პროფესიულ კავშირებში საქმიანობა უფრო მეტი ინიციატივის საშუალებას იძლევა. აქ პედაგოგთა ინტერესების, მათი შრომითი და სამართლებრივი უფლებების დაცვა და პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა მთავარი პრიორიტეტია. ამას კულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებიც ემატება და, რომ იტყვიან, საქმე თავზე საყრელია. მარტო შარშან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი ოცამდე სემინარი ჩავატარეთ, რომლებშიც 250-ზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა, სემინარების ხარჯები მთლიანად ჩვენმა ორგანიზაციამ დაფარა. ტრადიციად გვაქვს ამაგდარ პედაგოგთა ღვაწლისა და შრომის დაფასებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა, მათთვის საპატიო სიგელებისა და სუვენირების გადაცემა. შუახევის რესურსცენტრის უფროსის ბატონ ედუარდ გოგრაჭაძისა და სკოლების დირექტორების გამართული მუშაობის, მასწავლებელთა საქმიანობის გათვალისწინებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგია, რომ პედაგოგთა შრომითი და სამართლებრივი უფლებების დასაცავად ნაკლები შრომა მჭირდება. იშვიათია სკოლებში კანონდარღვევის შემთხვევები. ჩვენი პროფკავშირები რევოლუციური კატაკლიზმების პერიოდში გვერდით დაუდგა მასწავლებელს. 90-იან წლებში, როცა მასწავლებლის ხელფასი ძალიან მცირე იყო, შევძელით და მათ უფასო მგზავრობის ბილეთები გადავეცით. ერთ ხანს ხელისუფლებამ სკოლების ოპტიმიზაცია და პედაგოგიური კადრების შემცირების კამპანია წამოიწყო. ჩვენ ეს პროცესები შევაჩერებინეთ. თუნდაც ახლა, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის, მათთვის სტატუსის ამაღლებისთვის შემუშავებულ სქემაში, ჩვენი ინიციატივით და ხელისუფლების მხარდაჭერით, ბევრი ცვლილება შევიდა მასწავლებელთა სასიკეთოდ.

- შარშან საზღვარგარეთ იმყოფებოდით. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს გასვლა?

- პროფესიული კავშირების ეგიდით ორი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე ვარ. პირველად, 2007 წლის მაისში, ქალაქ ლვოვში გამართულ განათლების მუშაკთა საერთაშორისო კონფერენციაზე გახლდით, სადაც განიხილებოდა ევროპის ქვეყნებში ერთიანი განათლების სისტემის შექმნის თაობაზე ბოლონიის შეთანხმება, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში 12-წლიან სწავლებას დაუდო საფუძველი. შარშან ბელგიის ქალაქ ლიეჟეში გამართულ ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის კონფერენციაში ვმონაწილეობდი. კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა პროფკავშირების როლზე, ევროპაში ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების სისტემაზე, მთავრობებსა და პროფკავშირებს შორის სოციალური დიალოგის მნიშვნელობაზე. აშკარად გამოჩნდა ევროპაში პროფკავშირების დიდი როლი და ავტორიტეტი, მთავრობებისა და პროფკავშირების კონსტრუქციული ურთიერთობები და თანამშრომლობა, რაც ჩვენი პროფკავშირული საქმიანობისთვისაც მნიშვნელოვანია.

- მომძე უკრაინა ომის ქარცეცხლშია გახვეული. თქვენი ორგანიზაცია რას აკეთებს უკრაინიდან დევნილი პედაგოგების და მოსწავლეების დასახმარებლად?

- ეს საშინელება რაც შეიძლება მალე უნდა შეჩერდეს. ჩვენმა პროფკავშირმა ჯერ კიდევ გასული წლის მარტში 20 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა ჰუმანიტარული პროდუქტი გაუგზავნა უკრაინელ პედაგოგებს. ლიეჟეში ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა უკრაინის განათლებისა და მეცნიერების პროფკავშირის ვიცე-პრეზიდენტი ოლა ჩაბუნაკი, რომელიც, მცირეწლოვან შვილთან ერთად, ავსტრიაში ლტოლვილად იმყოფება. ჩვენი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ ევროპის პროფკავშირების კონფერენციაზე დააყენა საკითხი - რუსეთის მასწავლებელთა პროფკავშირი გაირიცხოს ევროპის პროფკავშირების გაერთიანებიდან, ვინაიდან პუტინის მხარდამჭერი, პოლიტიზებული პროფკავშირი არ უნდა იყოს ჩვენი დიდი ევროპული ოჯახის წევრი.

- საკმაოდ კარგ წამოწყებას აგრძელებთ - არ ივიწყებთ ამაგდარ პედაგოგებს.

- მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ სრულ მხარდაჭერას ვგრძნობთ სათავო პროფკავშირული ორგანიზაციისგან, პირადად ჩვენი პროფკავშირის პრეზიდენტ მაია კობახიძისგან და აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ბერიძისგან. რომ არა მათი თანადგომა, შუახევში ვერცერთი ჩვენი ინიციატივა ვერ განხორციელდებოდა. მხარს გვიჭერენ და, შესაძლებლობების შესაბამისად, გვეხმარებიან კიდეც.

ესპანეთიდან ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით...

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ესპანეთში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში FITUR-2023 მონაწილეობს. თავად ადმინისტრაციის ინფორმაციით, გამოფენას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე ესწრებიან.

„მადრიდში მიმდინარე გამოფენაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, თბილისის მერია, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და 8 ტურისტული კომპანიაა წარდგენილი.

გამოფენის ფარგლებში, ესპანეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით, შეხვედრები მიმდინარეობს საერთაშორისო ტურისტული კომპანიების, საერთაშორისო მედიებისა და საკომუნიკაციო სააგენტოების წარმომადგენლებთან. FITUR -2023-ზე საქართველოს სტენდთან სტუმრებს საშუალება აქვთ ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ვიდეორგოლები იხილონ და ტურისტულ პროდუქტებს გაეცნონ. მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ გამოფენაზე 130-ზე მეტი სახელმწიფოდან 8 ათასზე მეტი კომპანიაა წარდგენილი. FITUR -2023-ს 100 ათასზე მეტი დამთვალიერებელი და ბიზნესის წარმომადგენელი ესწრება“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

რა ვირუსები ცირკულირებს საქართველოს ყველა რეგიონში?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

სეზონური გრიპი გრიპის A და B ვირუსით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებაა. იგი აინფიცირებს სასუნთქ სისტემას (ცხვირი, ყელი, ფილტვები). სეზონური გრიპის ვირუსი ყოველწლიურად ცირკულირებს, რაც ადამიანთა გრიპით ავადობას განაპირობებს. უმეტესწილად, გრიპით დაავადებული ადამიანი გადამდებია სიმპტომების გამოვლენამდე 1 დღით ადრე და გამოვლენიდან კიდევ 5-7 დღის (ზოგჯერ - მეტი) განმავლობაში. ბავშვები, ჩვეულებრივ, 7 დღეზე მეტხანს არიან გადამდებები. გრიპი ხასიათდება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მიმდინარეობით და შესაძლოა დასრულდეს ლეტალურადაც. უბრალო გაციებისგან განსხვავებით, გრიპი მწვავედ იწყება

გრიპის მეორადი გართულებების, ჰოსპიტალიზაციისა და ლეტალობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან: ჩვილები და ადრეული ასაკის ბავშვები, განსაკუთრებით 2 წლამდე; ორსულები და ხანდაზმულები 65 წელს ზევით; ქრონიკული დაავადების მქონე პირები (ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, გულის შეგუბებითი უკმარისობა, დიაბეტი, ღვიძლისა და თირკმლების ქრონიკული დაავადებები და ა. შ). სეზონური გრიპი ადვილად ვრცელდება, სწრაფად გადადის ხალხმრავალ ადგილებში, მათ შორის სკოლებსა და მოხუცთა თავშესაფრებში. როდესაც ინფიცირებული ადამიანი ახველებს ან აცემინებს, ვირუსების შემცველი წვეთები (ინფექციური წვეთები) იშლება ჰაერში და შეიძლება გავრცელდეს ერთ მეტრამდე და დააინფიციროს ადამიანები.

ამ თემაზე სასაუბროდ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ **მაია გუჩაშვილს** *რამდენიმე კითხვით მივმართეთ.*

- ქალბატონო მაია, რა ვირუსებია მომრავლებული ახლა და როგორ უნდა შეებრძოლოთ მათ?

- ამჟამად ცირკულირებს A და B გრიპის ვირუსები, კორონავირუსი, რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი, რინოვირუსი და სხვა სეზონური ვირუსები. ნებისმიერი რესპირაციული ვირუსის შემთხვევაში, როდესაც ადამიანს აქვს სიმპტომები: ხველა, სურდო, ყელის ტკივილი, ტემპერატურის მომატება და სხვა, უნდა მოერიდოს გარშემომყოფებს და დაიცვას იზოლაციის წესები.

- კლინიკებში მიმართვიანობამ იკლო. თუ ადამიანი შენიშნავს, რომ აქვს სიცხე და გრიპისთვის დამახასიათებელი სხვა სიმპტომები, აუცილებელია თუ არა ტესტის გაკეთება?

- სიმპტომების შემთხვევაში უნდა გაკეთდეს კოვიდის ტესტი და სასურველია გრიპზე ტესტირებაც, რომელიც ასევე ცხვირ-ხახის ნაცხით კეთდება.

- აუცილებელია თუ არა განვასხვავოთ, კოვიდია თუ ჩვეულებრივი გრიპი, რათა ისევ დავიცვათ იზოლაცია?

- იზოლაცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავიცვათ.

- უმეტეს შემთხვევაში პაციენტებში ძალიან რთულდება ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასეთ დროს კოვიდი რთულდება თუ კიდევ არის სხვა ისეთი გრიპის ვირუსი, რომელიც ასევე საყურადღებოა?

- გართულებები გრიპსაც ახასიათებს, განსაკუთრებით, 5 წლამდე ბავშვებსა და ხანდაზმულებში. საკმაოდ ხშირია პნევმონიით გართულება.

- ხშირია გახანგრძლივებული ტემპერატურა, როცა 37,5 აქვთ 1 თვის განმავლობაში, ესეც გართულების შედეგია?

- 37,5-მდე ტემპერატურა ბევრი ადამიანისთვის ნორმალური ტემპერატურაა. ასევე, ინფექციური დაავადებების გადატანის შემდეგ ხშირია გახანგრძლივებული ტემპერატურა. თუ 38-ს აღწევს, აუცილებელია მთელი რიგი გამოკვლევების ჩატარება, რასაც ადგენს ექიმი.

„კვარაცხელიას მსოფლიო კლასის ტექნიკა აქვს“

„იუვენტუსის“ 5:1 ანგარიშით დამარცხების შემდეგ „ნაპოლის“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

„ჩემმა გუნდმა შესანიშნავი მატჩი ძალიან მაღალ ტემპში ჩაატარა. ეს ისაა, რაც უნდა გავაკეთოთ. დიდებული საღამოა, გულშემატკივრებმა მაგრად დაგვიჭირეს მხარი და ფეხბურთელებმა ამისათვის მადლობა გადაუხადეს. სწორად ვმოქმედებდით, მაშინაც კი, როდესაც გოლი გავუშვით და მოწინააღმდეგე თამაშში დაბრუნდა... ოსიმენის პოტენციალით გაოგნებული ვარ, რომლის რეალიზაცია ბოლომდე არ მოუხდენია. ის ყველაზე ძლიერია. კვარაცხელიას მსოფლიო კლასის ფეხბურთელების ტექნიკა გააჩნია, საგოლე ალღო, ბურთის მეკარისთვის ყველაზე ძნელად ასაღებ კუთხეში გადაგზავნა ეხერხება. გეგონება მარჯვენა ფეხით დარტყმას აპირებს, ამ დროს კი ფინტით მარცხნივ გადის. ძლიერია ფიზიკურად და ტექნიკურად. მესმის, მის მსგავს ფეხბურთელებს არ მოსწონთ ძალისმიერი ორთაბრძოლები და დაცვითი ფუნქციების შეთავსება.

სკუდეტო? ეს გამარჯვება პირველ რიგში საკუთარი თავისთვის გზავნილია. მეტოქეს ვაჯობეთ და მოგება დავიმსახურეთ“.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის ძალებმა რუსი ოკუპანტების თავდასხმები 9 დასახლებულ პუნქტთან მოიგერიეს, - აღნიშნულია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშში. „მტრის ძირითადი ძალისხმევა კონცენტრირებულია ბახმუტის მიმართულებით შეტევაზე. მოწინააღმდეგე წარუმატებელ შეტევას ახორციელებს ავდიივკას მიმართულებით“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. უწყების ცნობით, უკრაინის თავდაცვის ძალების ნაწილებმა მოიგერიეს თავდასხმები ლუგანსკის ოლქის ბელოგორიოვკას დასახლების მიდამოებში და ასევე დონეცკის ოლქის სოლოს, კრასნაია გორას, ბახმუტის, კლეშეევკას, ვოდიანოეს, ნეველსკოეს, მარინკასა და პობედას დასახლებებთან. ვითარება უცვლელია ვოლინის, პოლესკის, სევერსკის და სლობოჟანსკის მიმართულებებით. „უკრაინის თავდაცვის ძალები იღებენ ზომებს მტრის მხრიდან პროვოკაციული მოქმედებების ან დივერსიის აღსაკვეთად, გაძლიერებულია საჰაერო თავდაცვა“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

უკრაინას უკვე გარანტირებული აქვს Patriot-ის სამი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი. ჩვენი საჰაერო თავდაცვის გასაძლიერებლად ახალ გადაწყვეტილებებზე მუშაობა გრძელდება, - განაცხადა უკრიანის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ტრადიციულ ვიდეომიმართვაში. მისი თქმით, ეს მხოლოდ დასაწყისია. ვოლოდიმირ ზელენსკიმ ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრ მარკ რუტეს უკრაინისთვის Patriot-ის კომპლექსის მიწოდებასთან დაკავშირებით მადლობა გადაუხადა. „ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრ მარკ რუტესგან ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი მოვისმინეთ. ეს სიახლე რეალურად არის მასთან ჩვენი ბოლო მოლაპარაკებების გაგრძელება. უკრაინას Patriot-ის კიდევ ერთი ბატარეა მიეწოდება“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინამ ომის დროს რუსეთში უკანონოდ წაყვანილი 125 ბავშვის დაბრუნება მოახერხა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა-კომისარმა ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვთა რეაბილიტაციის საკითხებში დარია გერასიმჩუკმა დავოსში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, პროექტის „უკრაინა შენ ხარ“ გახსნისას განაცხადა. მისი თქმით, ცნობილია რუსეთის ფედერაციის მიერ თითქმის 14 ათასი ბავშვის გატაცების შესახებ. „ჩვენ შევძელით რუსეთის არმიის მიერ გატაცებული და დეპორტირებული თითქმის 14 000 ბავშვის მონაცემების დადგენა და გადამოწმება. სამწუხაროდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათგან მხოლოდ 125-ის სახლში დაბრუნება მოვახერხეთ“, - აღნიშნა დარია გერასიმჩუკმა. მისი თქმით, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან დღემდე 456 ბავშვი დაიღუპა, კიდევ 897 კი დაშავდა. „ჩვენი პრეზენტაციის მიმდინარეობისას შევიტყვეთ, რომ დნიპროში ნანგრევებიდან კიდევ ერთი ბავშვი ამოიყვანეს, რომელიც რაშისტებმა მოკლეს“, - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა.

* * *

უკრაინის - როგორც სახელმწიფოს განადგურება რუსეთის მიზანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მოსკოვი ვერ შეეგუება, რომ ის რუსოფობიური დიქტატურა გახდეს, - ამის შესახებ რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ვასილი ნებენზიამ განაცხადა. „რუსეთს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, არ აქვს უკრაინის, როგორც სახელმწიფოს ლიკვიდაციის მიზანი, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია და არ შევეგუებით იმ ფაქტს, რომ ჩვენს კართან საძულველი რუსოფობიური და ანტიქრისტიანული დიქტატურა ჩნდება“, - განაცხადა ნებენზიამ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. მისი მტკიცებით, რუსული რაკეტა, რომელიც დნიპროში ჩამოვარდა, უკრაინულმა სარაკეტო თავდაცვამ ჩამოაგდო. „ქალაქის ინფრასტრუქტურის მიმართულებით გასროლილი რუსული რაკეტა უკრაინულმა სარაკეტო თავდაცვამ ჩამოაგდო. რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა საცხოვრებელ უბანში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით იყო განთავსებული“, - აღნიშნა ნებენზიამ.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის განცხადებით, რუსეთის მოთხოვნა კიევისგან ახალი ტერიტორიული რეალობის აღიარების შესახებ არ იძლევა მოლაპარაკების პროცესის დაწყების საშუალებას. „რუსები ცდილობენ გაავრცელონ ნარატივი, რომ ისინი დაინტერესებული არიან დიპლომატიით. რუსეთის მოთხოვნა უკრაინის მიერ ახალი ტერიტორიული რეალობის აღიარების შესახებ მიუღებელია და არ იძლევა მოლაპარაკების პროცესის დაწყების საშუალებას“, - აღნიშნა ბლინკენმა ბრიტანელ კოლეგა ჯეიმს კლევერლისთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე. იანვრის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს განუცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია ღიაა დიალოგისთვის, მაგრამ კიევმა უნდა გაითვალისწინოს „ახალი ტერიტორიული რეალობა“.

* * *

თუ გერმანიის მთავრობა გადაწყვეტს უკრაინა უახლოეს მომავალში Leopard 2-ის ტანკებით მოამარაგოს, მას, სავარაუდოდ, 10-დან 15-მდე შეკეთებული ტანკის გადაცემა 2023 წლის ბოლომდე შეეძლება, - ინფორმაციას გერმანული გაზეთი Frankfurter Allgemeine Zeitung-ი ქვეყნის თავდაცვის სექტორში საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს. წყაროს თქმით, ტანკების გადაცემა 2023 წლის ოქტომბერში ან ნოემბერში იქნება შესაძლებელი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთები დაუყოვნებლივ გაფორმდება. გამოცემის ცნობითვე, თუ გერმანიის მთავრობა დაამტკიცებს შეკვეთებს, მესამე კვარტალიდან შესაძლებელი გახდება კვირაში ერთი Leopard 2-ის მიწოდება. გარდა ამისა, გაზეთი იტყობინება, რომ გერმანია ამჟამად განიხილავს უკრაინისთვის კიდევ 29 ერთეული Leopard 2-ის მიწოდების შესაძლებლობას, რომლებიც ამჟამად სლოვაკეთისა და ჩეხეთისთვისაა განკუთვნილი, თუმცა, ოფიციალურ პრაღასა და ბრატისლავას მოუწევთ ასეთ გადანაწილებაზე დათანხმება.

* * *

უკრაინული მედიის ცნობით, ბროვარში, კიევის ოლქში, ვერტმფრენი საბავშვო ბაღთან ახლოს ჩამოვარდა. კიევის გუბერნატორ ოლექსი კულებას განცხადებით, ტრაგედიის დროს, ბავშვები და პერსონალი საბავშვო ბაღის შენობაში იმყოფებოდნენ. ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი დენის მონასტირსკი დაიღუპა. ასევე დაღუპულია დენის მონასტირსკის პირველი მოადგილე ევგენი ენინი და სახელმწიფო მდივანი იური ლუბკოვიჩი. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად 18 ადამიანია დაღუპული, აქედან 3 ბავშვია. მედიის ცნობით, ვერტმფრენში ეკიპაჟის 9 წევრი იმყოფებოდა. უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროს იგორ კლიმენკოს განცხადებით, 29 დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი, აქედან 15 ბავშვია. ვერტმფრენი უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურს ეკუთვნოდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 18/01/23, 22 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ვარ ჩემი სამშობლოს „ელჩი“ განუსაზღვრელი ვადით“

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ჩვენი სტუმარია ევროპაში პირველი ქართული ინტერნეტტელევიზია Merani TV-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, პოეტი, ემიგრანტი ***მელი თურმანიძე.*** *იგი ქედის რაიონის სოფელ მერისში დაიბადა. უკვე 17 წელია, იტალიაში, ქალაქ მილანში ცხოვრობს. დიდია მისი როლი ჩვენი ემიგრანტების ყოველდღიური მძიმე ყოფის შემსუბუქებასა და თანადგომაში.*

- ქალბატონო მელი, დიდი ხანია იტალიაში ცხოვრობთ, თქვენთვის რა არის ემიგრაცია?

- ემიგრაცია - ეს არის ტკივილი, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ მივხვდი, რომ არ ვარ ემიგრანტი, არ მაქვს სევდიანობის დრო. ვარ ჩემი სამშობლოს „ელჩი“ განუსაზღვრელი ვადით და ამ მისიის შეწყვეტა შემიძლია მხოლოდ მე და მაშინ, როცა ჩავთვლი, რომ ჩემი შესაძლებლობები, როგორც „ელჩის“, ამოწურულია.

- როგორ შეიქმნა Merani TV?

- ტელევიზია ვალდებულების შეგრძნებაა, რომელიც მაქვს საკუთარი ერისა და ხალხის წინაშე. ყველაფერი ბევრად უფრო ადრე, 2019 წლის 13 იანვარს დაიწყო, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ-იტალიურ კულტურულ ასოციაცია „მერანს“. პანდემიის დაწყებამდე ხშირად ვმართავდით ქართულ საღამოებს, სადაც უწყვეტად მიმდინარეობდა ქართული სიმღერის, ტრადიციული ტანისამოსის თუ სამზარეულოს პოპულარიზაცია. პანდემიამ მსოფლიო წესრიგი შეცვალა და, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიყავით გამონაკლისი, ამიტომ გადავწყვიტეთ, სოციალური ქსელების დახმარებით ჩვენი წილი თანადგომა გამოგვეხატა სახლებში გამოკეტილი ემიგრანტებისადმი და ასე დავიწყეთ პირდაპირი ეთერი. შეიქმნა არაერთი რუბრიკა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ლიტერატურული საღამოები მელისთან ერთად“, „პორტალი“, „გარიბალდის 73-ში“, „არდაბაგი“, „ყავა ონლაინ“, საბავშვო გადაცემები „კითხულობენ ბავშვები“ და „მიპასუხე“. 2020 წლის დეკემბერში, ტექნიკური შესაძლებლობების გაფართოების მიზნით, გავაქტიურდით სხვადასხვა პლატფორმაზე და უკვე მყარად შექმნილ საფუძველზე დავაარსეთ ინტერნეტტელევიზია Merani TV. უკვე ერთი წლის ვართ და უწყვეტად ვმუშაობთ. რადიკალურად არ ვემხრობით რეიტინგის ამაღლებას ნეგატიური ამბების გაშუქებით. აქტიურად ვცდილობთ კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის ფართოდ გავრცელებასა და გაცვლას, ასევე შევქმენით პრეცედენტი გადაცემით „მიგ.რაცია“, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ემიგრანტების უფლებებისა თუ ვალდებულებების გათვითცნობიერებაზე. საბედნიეროდ, ჩემი იდეის თანამოზიარეა ჩემი შვილობილი, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ტელევიზიის განვითარებაში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ერთადერთი ქართული ინტერნეტტელევიზია ვართ საქართველოს საზღვრებს გარეთ. შასურველია, რაც შეიძლება მეტი მსგავსი საინფორმაციო წყარო შეიქმნას.

- აღგვიწერეთ თქვენი თუნდაც ერთი დღე, ცხოვრების წესი, ადამიანები, ურთიერთობები...

- მნიშვნელოვანია, დღეს რომელი მხრიდან შევხედავთ, შევეცდები ორივე მხარეზე გესაუბროთ. თუ დღეს ვუყურებთ როგორც ემიგრანტის მორიგ გათენებას უცხო მიწაზე, ის ძალიან სევდიანია. 17 წლის შემდეგაც, ვიდრე დარაბებს გამოვაღებ, მგონია, საქართველოში, ჩემს მშობლიურ კედლებში გავიღვიძე, ბუნებრივია, სევდისმომგვრელია რეალობა, რომელიც დარაბებს მიღმა გვხვდება. თუმცა, არის მეორე მხარე, ჩვეულებრივი მოქალაქის ყოველდღიურობა. ყველაზე მეტად რაც მიყვარს, ღიმილია, აქ ყველა იღიმება, თუ ერთი და იგივე ადგილას ორჯერ ან სამჯერ მაინც გნახა ადამიანმა, შეიძლება მოსალმებისგან თავი შეიკავოს, მაგრამ ღიმილს არ დაიშურებს. ვუღიმით ერთმანეთს და ვაგრძელებთ გზას, ეს უკვე დილის პოზიტივია, რომელიც მთელი დღე მიგყვება. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ აგვიანებს, რაც მეორე მიზეზია იმისათვის, რომ მშვიდად გააგრძელო დღე, არსებობს განსაზღვრული სამუშაო გრაფიკი, კუთვნილი შესვენებითა და გათვლილი დღიური საათებით. აქაც არ გაქვს მიზეზი ნერვების მოშლის, რჩება მხოლოდ ის, როგორმე მოერგო შენს არჩეულ ან იღბლისგან გამომეტებულ სამუშაოს, რაც იოლი არაა, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენ ისეთი ქვეყნიდან მოვდივართ, სადაც სამუშაო სფეროში ჯანსაღი კანონი ჯერ კიდევ არ მოქმედებს. ემიგრანტის დაძაბულ ნერვებს კი ხანდახან აქაური წესრიგიც კი აღიზიანებს. ალბათ, საჭიროა გავიაზროთ, რომ აქ არა ჩვენი წესების დასამყარებლად, არამედ სამუშაოდ და დასამკვიდრებლად ან დროთა განმავლობაში შინ დასაბრუნებლად მოვედით და ბევრი რამ შეიცვლება უკეთესობისკენ.

- როგორ გესახებათ თქვენი, როგორც ემიგრანტის ხვალინდელი დღე?

- ზემოთ, ნახევრად ხუმრობით ვახსენე, რომ არ ვარ ემიგრანტი, მე ელჩი ვარ ჩემი ქვეყნის და ამას მართლა ასე აღვიქვამ. დადგა ჩემს ცხოვრებაში ეტაპი, რომელშიც არა მხოლოდ თავის და სამშობლოში დარჩენილი სანათესაოს გადარჩენაზე ზრუნვაა, არამედ ყოველდღიური ფიქრი, როგორ და რა მეთოდით გავუწოდოთ ხელი ემიგრანტს. სამწუხაროდ, მას ძალიან ბევრი ბარიერი აქვს გადასალახავი, ყველაზე დიდი კი ენის უცოდინარობაა, რაზეც უამრავი დეტალია ჯაჭვივით ასხმული - ვერ ახერხებ მოიპოვო საჭირო ინფორმაცია, საჭირო მისამართი. თუ იპოვი, დანიშნულების ადგილზე მისულმა არ იცი, როგორ დაამყარო კომუნიკაცია. ამასთანავე, ძალიან სამწუხარო რეალობაა ემიგრაციის ახალი ტალღა და ზოგიერთი ძირძველი ემიგრანტის დამოკიდებულება მათ მიმართ - დახმარების ხელის გაწვდის ნაცვლად, თანხებს ძალავენ... ჩემი გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღეც ამ ადამიანების თანადგომაა. ამისთვის შეიქმნა თავის დროზე ასოციაცია, ამისთვის შეიქმნა პირველი ინტერნეტტელევიზია Merani TV-ი. უწყვეტ რეჟიმში ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი პოზიტივი და საჭირო ინფორმაცია მივიტანოთ ემიგრანტებთან. ასევე ვცდილობთ, ჯანსაღი ინფორმაცია მოვიტანოთ საქართველომდე იმ ქვეყნებიდან, სადაც ვცხოვრობთ, რათა გარყვნილი და გახრწნილი ევროპის მცდარი სტერეოტიპი დავარღვიოთ. ის, რაც საქართველოში მიუღებელია, არც აქ მოსწონთ ადამიანებს. ევროპელ ადამიანებს აქვთ ძალიან ბევრი კარგი თვისება, თუმცა ახლა მხოლოდ ერთს მინდა გავუსვა ხაზი, მათთვის არ ხარ ქართველი, მათთვის ხარ - მელი, მარიამი, ანა... შენი თვისებებით, შენი ქცევით, განათლების დონით თუ სხვა მრავალი დეტალით ქმნიან შენს პიროვნებას და იმის მიხედვით გაფასებენ. შენს ეროვნებას ზემოთ ჩამოთვლილ დეტალებში ადგილი არ აქვს. ჯერ პიროვნება ხარ და მერე წარმოაჩენ ან ვერ წარმოაჩენ შენს ქვეყანას. არავინ გაგიწყრება იმის გამო, რომ სადღაც ქართველს რაღაც დაუშავებია და რადგან ქართველი ხარ, შენც ცუდი ხარ. ეს თვისება, როგორც ემიგრანტს, უზარმაზარ ტვირთს გაცლის მხრებიდან, არ გაქვს შიში, რომ საზოგადოება გაგრიყავს, შენს ხელთაა ყველა ბერკეტი საიმისოდ, რომ დაიმკვიდრო თავი იქ, სადაც ხარ.

- მოგონება, რომელიც მუდმივად თან გსდევთ და შთაგაგონებთ...

- ეს მოგონება დედაჩემთან განშორებაა... ალბათ ყველა ემიგრანტის ყველაზე მტკივნეული დღე ესაა და ვერაფერს ვიტყვი განსაკუთრებულს, თუმცა არც სათქმელი მაქვს მეტი. გიჟურად თოვდა, ძალიან დიდი და საოცარი ფანტელები ცვიოდა ციდან, გზები ჩაიკეტა. მე სოფელ მერისში გავიზარდე, ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობს დღემდე, ამიტომ ბუნებრივია, მშობლებთან გამომშვიდობება გვინდოდა წასვლამდე და უგზოობის გამო, სამი კილომეტრი ფეხით ვიარეთ თოვლში, რათა ჯერ სახლამდე მიგვეღწია და მერე ავტობუსამდე. ვიდრე დავბრუნდებოდით, თოვლის საფარმა კიდევ უფრო მოიმატა, მამა და შუათანა ძმა გაგვყვა ავტობუსამდე, დედა შინ დარჩა, ძალიან გამიჭირდა დამშვიდობება, მეორედ უკან დაბრუნებული მაგრად ჩამიკრა გულში და მერე ძლიერად ხელი მკრა მკაცრი ტონით, აღარ დაბრუნდეო, ამის გახსენება ერთდროულად მანგრევს და მაშენებს! მერე მახსოვს, როგორ ვაბრახუნებდი გზაზე ნაბიჯებს, მეგონა ისე ძლიერი აღმოვჩნდებოდი, მთებს ჩამოვშლიდი ნამქერებად და მერე ვიტყოდი, მე არაფერ შუაში ვარ, ოჯახის გადასარჩენად მივდიოდი, მაგრამ გზა ჩაიხერგა, ჩემი რა ბრალია?! ვერ ჩამოვშალე მთები ნამქერებად... წავედი.

- თქვენს შესანიშნავ პოეზიაზე რას გვეტყვით?

- პოეზია... ვერ ვიტყვი, რომ პოეტი ვარ, უბრალოდ, ეს საოცარი სივრცე ჩემი თავშესაფარია. უფრო ვკითხულობ, ვიდრე ვწერ, თუმცა საკუთარ შემოქმედებაში არცთუ ისე ცოტაა ლექსები, რომლებიც მიყვარს. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ვწერდი, საკმაოდ დიდი ინტერვალის შემდეგ, ემიგრაციაში მივუბრუნდი პოეზიას. ჩვენი ეპოქა მდიდარია საოცარი ავტორებით, ამ მხრივ აჭარა გამორჩეულია. არაერთი კარგი ავტორი გვყავს, მათ ფონზე მე, ალბათ, უნდა ვდუმდე, მაგრამ გავკადნიერდები და მკითხველისთვის ორ ლექსს დაგიტოვებთ.

„გუშინ მამამ თქვა, მარნებს შიათო,
ბეღურაც აღარ ჩეჩქვავს ჩხავერებს,
სიცარიელე, ეს უნიათო
დაცლილ ცურივით ადევს მთა-ველებს.
მოვა ზამთარი მიტოვებულთან,
კვლავ ჩუმი ყინვით გაუთბობს ხელებს
და დასამარხავ პატარძალივით
თეთრი კაბებით შემოსავს ხეებს...
„- წუხელ გათოვდა, საყონიათს ახურავს
ჩადრი“.

მიყვება მამა და ფიქრებში,
კვლავ მარანს დარდობს.
მე ხმაში ვხედავ, მამა როგორ იწვდის
სურვილებს და ზამთრის სუსხით
თმაბურჯგნულ საკვამურს ათბობს... “.

„ვიდრე მე ვფიქრობ: - მთებში ნისლია,
გამოსდებია ძეძვს და ნაძვნარებს,
ზეცა გამოშლის ფიქრების კალთას და
მთების ყელზე დაასახლკარებს.
იცის მოთოვაც, მჭვარტლავდეს თითქოს,
გაღმა ბუხრის ყელს თვალს ვეღარ ჭკიდებ
და ფიქრიანი კურთხველას ქედი,
ნისლის სარაფანს მოიგდებს კიდევ!
დუმს და დუმილის ექო ღრიალებს,
ან სიტყვა როგორ იტყვის ნაფიქრალს?!
შეზრიალდება საყონიათი,
მიმოისწორებს გუშინ ნაფიფქარს.
და მაინც, ვიდრე ვფიქრობ ნისლია,
ვუმზერ და თვალში ფირებს ვალაგებ,
ზეცის ნაფიქრი შეშლილი აზრი
ყოველ მტკაველზე ლოკავს ალაგებს,
სადაც ერთხელაც ისე ჩამოთოვს,
მე ვეღარ ვიხელ მზეს და მაისებს...
დუმს და დუმილის ექო ღრიალებს,
მთების აჩრდილი მეტევა თვალში,
როგორ მეგონა უკიდეგანო,
როცა პატარა ვიყავი, მაშინ...

სწორედ პოეზიის და ლიტერატურის სიყვარულმა მომცა ძალა, ემიგრანტებისთვის შემექმნა სივრცე, სადაც შესაძლებლობა ექნებოდათ გამოეწერათ ან წაეკითხათ ქართული წიგნები. ბიბლიოთეკას საკუთარი საცხოვრებელი ფართის ნაწილი დავუთმე და მილანის ემიგრაციას პირველი ქართული ბიბლიოთეკა გავუხსენი, სადაც შეუძლიათ შესვლა და წიგნის გამოწერა. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ ვიდრე მე გავხსნიდი ბიბლიოთეკას, წიგნების გარკვეული მარაგი ჰქონდა ქართულ სამრევლოს, რომელსაც ჩვენი ძალიან ძვირფასი მამა კირიონ მაჩაიძე უძღვება.

ხულოელი მოჭიდაველების წარმატება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის. ასპარეზობაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები მონაწილეობდა. 200-მდე მონაწილეს შორის იყვნენ ხულოელი მოჭიდაველებიც

ხულოს სასპორტო სკოლაში აღზრდილმა მოჭიდავეებმა სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვეს.

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა გიორგი კოჩალიძემ (მწვრთნელი - გრიგოლ შანთაძე), 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ანრი თავართქილაძემ (მწვრთნელი - მალხაზ სოლომონიძე), 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფინალური ასპარეზობა წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული ხვიჩა ანანიძე (მწვრთნელი - მალხაზ სოლომონიძე).

ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენებს ფინანსური მხარდაჭერა ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ გაუწია. ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენთა ბაზაზე დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები. მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა შეჯიბრში.